



პრეამბულა

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.
2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო–სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს 2008 წლის ნოემბერში არჩეული სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. **დიმიტრი თუმანიშვილი**; თავმჯდომარის მოადგილე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მზია ჯანჯალია**; სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ქეთევან მიქელაძე**. ცენტრის დირექტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მარიამ დიდებულიძე**, დირექტორის მოადგილე – იურისტი **ლევან ზედგინიძე**.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის **<u>ცენტრის სტრუქტურა</u>:**
მართვა: სამეცნიერო საბჭო; ადმინისტრაცია
სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება:

- **ძველი ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დავით ხოშტარია)
- **ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ გაჩეჩილაძე)**;**

არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი (გამგე გურამ ჟღენტი)**;**
ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი (ხელმძღვანელი თამაზ დვალი).
ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია (გამგე მარინე ფანცხავა).

2012 წელს ცენტრში მუშაობდა 80 თანამშრომელი. მათ შორის 60 მეცნიერი თანამშრომელი, აქედან 7 მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 29 უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 24 მეცნიერი თანამშრომელი; მათ შორის 13 ახალგაზრდა მეცნიერი. 2012 წელს ცენტრში სტაჟირებას გადიოდა 9 ახალგაზრდა მეცნიერი.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრში 2012 წელს განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობა

სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებები:

1. 1. **წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;**
1. 2. **შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება;**
1. 3. **შუა საუკუნეების ქვისა და ლითონის ქანდაკება;**
1. 4. **შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა;**
1. 5. **პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;**
1. 6. **ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების გზა;**
1. 7. **ქართული სცენოგრაფია;**
1. 8. **ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია;**
1. 9. **საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა.**

1.1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება

- **აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს სარტყელთა გრაფიკული დეკორი (ძვ.წ. XII-VI სს),** */გარდამავალი თემა/*, **ნინო გომელაური**

2012 წელს მოძიებული იყო მასალა, რომლის ნაწილი სამეცნიერო პუბლიკაციებითაა ცნობილი, ნაწილი კი გამოუქვეყნებელია. შეგროვილი მასალის საერთო რაოდენობა ასზე მეტ ერთეულს მოითვლის. მოტივთა პარალელებისათვის შეგროვდა გრაფიკული დეკორით შემკული ბრინჯაოს სხვა ნაწარმიც (კოლხური, აღმოსავლურ ქართული). შესრულდა მოპოვებული მასალის გრაფიკული და ფოტოდოკუმენტაცია. თემაზე მუშაობა მომდევნო წლებში გაგრძელდება ცალკეულ ქვეთემათა სახით: "ადრეულ სარტყელთა გრაფიკული დეკორი და მისი გენეზისი", "აღმოსავლურქართულ და კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობისათვის სარტყელთა დეკორის მიხედვით", "წინააზიური მოტივები სარტყელთა მხატვრულ რეპერტუარში".

- **ᲞᲠᲔᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲚᲘᲤᲔᲑᲘ ᲬᲐᲚᲙᲘᲓᲐᲜ** (მხატვრული დახასიათების ცდა), **მარიამ გაბაშვილი**

ნაშრომი მიზნად ისახავს წალკის რაიონში, სოფ. განთიადთან, კლდის მასივზე 1978 წ-ს აღმოჩენილი პეტროგლიფების შესწავლას. პეტროგლიფები რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას მოიცავს, რომელთაგან ყველაზე ადრეული მეზოლითის ხანით თარიღდება. სინქრონული, თუ სხვადასხვა ეპოქის მასალებთან შედარებისას ამ ფენის მხატვრული სტილი ინდივიდუალური ნიშნებით გამოირჩევა და ხუთივე კონტინენტზე აღმოჩენილ პეტროგლიფებისგან განსხვავებულ კონცეპტუალურ მიდგომას ამჟღავნებს, თუმცა საერთო ნიშნების ამოკითხვაც ხერხდება. პეტროგლიფებზე მკაფიოდ იკვეთება საქართველის ტერიტორიაზე სახვითი ფორმების აღმოცენებისა და კომპოზიციის ჩასახვის პროცესი.

1.2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება

- **ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ (ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ),** /ორწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია), **დავით ხოშტარია**

ნაშრომის მიზანი იყო ინგლისურენოვანი მკითხველისათვის IV-X საუკუნეების ქართული არქიტექტურის მოკლე კურსის დაწერა, რაც გულისხმობს როგორც აქამდე დაგროვილი ცოდნის შეჯამებას, ისე მის ხელახლა გააზრებას უახლესი დასავლური მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით. ნაშრომში განხილულია ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურის განვითარების ეტაპები და მათი თავისებურებები. სათანადო ადგილი ეთმობა რეგიონალური განსხვავებების ჩვენებას და მათ ახსნას. საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება საეტაპო ნაგებობებზე (ბოლნისის სიონი, ვახტანგ გორგასლის სვეტიცხოველი, მცხეთის ჯვარი, წრომი, სამშვილდის სიონი, წირქოლი, გურჯაანის ყველაწმინდა, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, ხანძთა, მოქვი, კუმურდო, ოშკი) და შეფასებულია მათში განხორციელებული მხატვრული თუ ტექნიკური ინოვაციები.

- **მირიან მეფისა და წმ. ნინოს სვეტიცხოველი** (*გარდამავალი თემა*), **თამაზ სანიკიძე**

ნაშრომში განხილულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში 1969-1972 წწ-ში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი ხის ნაგებობის ნაშთები, რომელიც მკვლევართა მოსაზრებით პირველ სვეტიცხოველს წარმოადგენდა და IV ს. 30-იან წწ-ში აშენდა. მოცემულია ნაგებობის გეგმისა და მოცულობების გრაფიკული რეკონსტრუქცია და მისი ხუროთმოძღვრული სტრუქტურის ანალიზი. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მას ბევრი აქვს საერთო ქართულ წარმართულ საკულტო ნაგებობებთან. წერილობითი წყაროების საფუძველზე განხილულია ამ დროის ქართლის პოლიტიკური და კულტურული ვითარება; ადრეული ქრისტიანული სალოცავები (ქსანი, ჭერემი, ნეკრესი და სხვ.) და მათი მიმართება სვეტიცხოველთან.

- **ხობის მონასტრის ხუროთმოძღვრება** *(ორწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია)*, **ირინე ელიზბარაშვილი**

ნაშრომი მიზნად ისახავს ხობის მონასტრის მთავარი ტაძრის შესწავლას. ძეგლის ადგილზე შესწავლის საფუძველზე დაზუსტდა მისი აშენების თარიღი, მოხდა საადმშენებლო ფენების ქრონოლოგიური გამიჯვნა და მათი შესწავლა, ჩატარდა აზომვითი სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოს შედეგად გამოვლინდა ახალი მონაცემები ძეგლის აღშენების ისტორიისა და არქიტექტურული ტიპის სახეცვლასთან დაკავშირებით.

- **ჭუჯაბის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის შიდა სივრცეები და ორნამენტული სამკაული,** *(თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2012-2013 წწ.)*, **ქეთევან აბაშიძე-დადიანი**

ნაშრომში განხილულია ტაძრის ხუროთმოძღვრული თავისებურებანი – ინტერიერის ხასიათი გამოვლენილი შიდა სივრცეების გადაწყვეტაში, სივრცით-მოცულობითი მონაკვეთების ერთმანეთთან მასშტაბური შეფარდებასა და ურთიერთდამოკიდებულებაში; ინტერიერის მიმართება ტაძრის გარე სახესთან. დაწვრილებითაა აღწერილი ტაძრის ორნამენტული სამკაული და მისი მიმართება ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან. ტაძრის ფასადების და მისი გალერეა-მინაშენების მხატვრულ-დეკორატიულ გაფორმებაში სხვადასხვა სტილი და ხასიათი გაირჩევა, რომლის გაანალიზება და პარალელებთან მიმართება ტაძრის სამშენებლო ეტაპებისა და თარიღის გარკვევაში გვეხმარება.

- **სამცხის კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურა (XVIII-XIX საუკუნეები), ნათია ნაცვლიშვილი**

ნაშრომში განხილულია ახალციხის, უდეს, არალის, ვალეს, ივლიტასა და სხვილისის XVIII-XIX საუკუნეების კათოლიკური ეკლესიები, რომელთა არქიტექტურა და მშენებლობის ისტორია აქამდე საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში აღინიშნება ძირეული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით, რამაც განმსაზღვრელი გავლენა იქონია კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის პირობებზეც და მათი მხატვრულ-არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებაზეც. სამცხის კათოლიკური ეკლესიები ძირითადად ქართველ და სომეხ მოსახლეობას ემსახურებოდა და მისი სამშენებლო და შემოქმედებითი აქტივობის მეტყველი ილუსტრაციაა. ამ შენობების კვლევა მნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საეკლესიო შენობების კულტურულ-

ისტორიული კონტექსტი ხშირად ცოცხლად ეხმიანება ერთიანი ქართული თვითშეგნების ფორმირების საკვანძო საკითხებს.

- **ზემო სვანეთის შვერილაფსიდიანი ეკლესიები, გიორგი პატაშური**

ნაშრომი მიზნად ისახავს ზემო სვანეთის შვერილაფსიდიანი ეკლესიების შესწავლას. ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო დანარჩენი საქართველოს კულტურულ ცხოვრებასთან, თუმცა, სვანი ხუროთმოძღვრები ყველანაირ სიახლესთან ერთად ცდილობდნენ თავისებურად გადაეთამაშებინათ და გაეაზრებინათ ესა თუ ის მოტივი. ზემო სვანეთის შვერილაფსიდიანი ეკლესიების შესწავლისას გამოვლინდა რიგი ნიშნები, რომლებიც აერთიანებს მათ საქართველოს სხვა რეგიონების ხუროთმოძღვრებასთან და ისეთიც, რომელიც გამოარჩევს მათ და ადგილობრივ ტრადიციაზე აღმოცენებულ ხასიათს ამჟღავნებს.

- **გარეჯის მრავალმთის თეთრი უდაბნოს მონასტრის აღმოსავლეთი ეკლესია. მისი ტიპოლოგიური იდენტიფიკაციის, პარალელების დადგენისა და დათარიღების მცდელობა, დავით ჩიხლაძე**

ნაშრომი ეხება გარეჯის თეთრი უდაბნოს მონასტრის აღმოსავლეთი ეკლესიის ხუროთმოძღვრების კვლევასა და მის დათარიღებას. ეკლესია აქამდე VII-VIII სს. დათიღდებოდა. ტაძრის შესახებ არსებული მოსაზრებების კრიტიკულმა ანალიზმა გამოავლინა მათი უსაფუძვლობა და ახალი, სრულყოფილი არქიტექტურული კვლევა მოითხოვა. შემორჩენილ მასალაზე დაყრდნობით მოხდა ტაძრის ნაწილების დეტალური არქიტექტურული ანალიზი და მისი შედარება გარეჯის საეკლესიო არქიტექტურის პარალელურ მასალასთან. მიღებულმა შედეგებმა თეთრი უდაბნოს აღმოსავლეთი ეკლესია გარეჯის მრავალმთის მონასტრების ე. წ. მთავარი ეკლესიების ჯგუფს მიაკუთვნა. თეთრი უდაბნოს აღმოსავლეთი ეკლესიისა და ამ ჯგუფის ეკლესიების შედარებითი ანალიზით გაირკვა ტაძრის ზუსტი ადგილი ამ ჯგუფის ეკლესიების რიგში. ამ საკითხების გარკვევამ ტაძრის გამოკვეთის ახალი, IX-X საუკუნების მიჯნით დათარიღების საფუძველი გააჩინა. თავის მხრივ ეს დათარიღება თეთრი უდაბნოს აღმოსავლეთი ეკლესიის საკურთხევლის ფრესკული გამოსახულების ახალ დათარიღებას ემთხვევა.

- **რიონისპირა სოფლების ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ახლად გამოვლენილი ნიმუშები, მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩხუნაშვილი**

წლიური თემის ფარგლებში ჩატარებულია პირველადი კვლევა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების, სათავდაცვო ნაგებობების და ხალხური საცხოვრებელი არქიტექტურის იმ ახლად გამოვლენილი, საყურადღებო ნიმუშებისა, რომლებიც 2010 წელს, ისტორიული ქვემო ლეჩხუმისა (რიონის ქვემო წელი) და იმერეთის (ცაგერი-წყალტუბოს რ-ები) სოფლების საველე დაზვერვისას იქნა გამოვლენილი. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთ-ლეჩხუმის აღნიშნულ ნაწილში ძეგლების ინვენტარიზაცია ჩატარებული იყო XX საუკუნის 80-იან წლებში, მაშინდელ ნუსხაში ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები საერთოდ არ შესულა. აქედან გამომდინარე, ნაშრომში მოწოდებული ინფორმაცია მაღალმხატვრული საცხოვრებელი სახლების და ტრადიციული კარმიდამოების დაგეგმარების თავისებურებების შესახებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღევანდელ ვითარებაში, როდესაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ნამოხვანის

ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელება იგეგმება, რაც პირველ რიგში სწორედ მათ უქმნის განადგურების საფრთხეს;

- **ქართული ხელოვნების სახვითი ენისათვის (მცხეთის ჯვარი და აია სოფია** (*ორწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია*), **ასმათ ოქროპირიძე**

კვლევის საგანია ისეთი „მაკროსტრუქტურა“ როგორიცაა არქიტექტურა, კონკრეტულად მცხეთის ჯვარი, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ფენომენური ძეგლი. გაანალიზირებულია მისი კედლის წყობის, მასალის ჟღერადობის, განათების თავისებურებანი. კველევის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიამ შესაძლებელი გახადა ამ ნიმუშის საფუძველზე იმგვარი ზოგადი სახვითი კანონზომირებების წარმოჩენა, რომელიც ახსიათებს ხელოვნების სხვა დარგებსაც – ფერწერას, რელიეფსა და ა.შ. კვლევის პროცესში რამდენადმე გამოიკვეთა ჩვენი ქრისტიანული ხელოვნების ეროვნული სპეციფიკა. საკითხის დასაკონკრეტებლად, შესადარებლად მოხმობილია ბიზანტიური ხუროთმოძღვრების სიმბოლო აია სოფია, აგრეთვე რუსული, სომხური, ისლამური ხუროთმოძღვრების ნიმუშები. ნაშრომში გამხილული თემატიკა გაგრძელებაა ადრე წარმოებული კვლევისა და მის გაღრმავებას წარმოადგენს;

- **დარბაზის ხუროთმოძღვრების რაობისათვის, სამსონ ლეჟავა**

(ნაშრომი დაიწერა 2010-2012 წწ.-ში მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე (დაფიქსირდა დარბაზოვანი ნაგებობების მეტწილად უცნობი ნიმუშები, რომელთა რაოდენობა 150-ზე მეტი აღმოჩნდა).

კვლევამ დაადასტურა დარბაზოვანის გამორჩეული ფასეულობა. თავად დარბაზი – კომპლექსური საცხოვრისის საკვანძო ნაწილი, წარმოადგენს საზეიმო, ხალვათ, არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ვიზუალურად ტევად სათავსს, რომლის სივრცითი სტრუქტურა, მიუხედავად კონსტრუქციული სხვაობისა უთუოდ ენათესავება საეკლესიო გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების სივრცით აგებულებას. საინტერესო აღნაგობა აქვს თაკარებიან ოდას, უფრო გრძივ, გადახურვით მხოლოდ ორმხრივ შეკიბულ, „კიბურ-კამაროვან“ სათავსს (ლ. სუმბაძე), რომლის „ბინა“ უფრო კამერულია, მორთულობითი სისტემებითაც იგი უფრო ახალი დროის პროდუქტია, თუმცა გვირგვინიანი დარბაზის თავისებურ სახეცვლებს წარმოადგენს. საგულისხმოა ფუნქციურად გამართული ბოსელი – უშუალო შემადგენელი დარბაზოვანის ერთიანი სისტემისა. მთლიანობაში, დარბაზოვანი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის არსებითი მონაპოვარია.

1.3. შუა საუკუნეების ქვისა და ლითონის ქანდაკება

- **საერო ხელისუფალთა მეუფების თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში** *(თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2012-2013 წწ.)*, **თამარ ხუნდაძე**

ამ ეტაპზე შესრულებულია ნაშრომის პირველი ნაწილი, რომელშიც განხილულია: ა) ქართლის ერისმთავართა რელიეფური გამოსახულებანი მცხეთის ჯვრის ტაძარში; ბ) ოპიზის რელიეფის ქტიტორის იდენტიფიკაციისა და დათარიღების, ასევე სახისმეტყველებითი და მხატვრული გადაწყვეტის საკითხები; გ) სამეფო ძალმოსილების იდეის გამოხატულება დოლისყანის ტაძარში; დ) სამეფო "პორტრეტი" კუმურდოს ეკლესიაში.

- **შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების თემატიკა;** *ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ დ. თუმანიშვილის სახელზე შემოსული განცხადების საფუძველზე წლის განმავლობაში თემა შეიცვალა ახალი თემით* – **შუა საუკუნეების სკულპტურის საკითხისათვის მართლმადიდებლურ სამყაროში, ეკატერინე კვაჭატაძე**

შუა საუკუნეების ქანდაკების განვითარება სამართლმადიდებლოში არაერთგვაროვანი შემოქმედებითი აქტივობით ხასიათდება. დასავლეთ ევროპის სკულპტურისგან განსხვავებით აქ მხოლოდ რელიეფურ პლასტიკას ვხვდებით. მართლმადიდებელი ეკლესია საკულტო ნაგებობისთვის მრგვალ ქანდაკებას, თითქმის გვიანი შუა საუკუნეების ბოლომდე არ ღებულობდა. საფასადო სკულპტურის პროგრამები თუ ცალკეული გამოსახულებები ამ ქვეყნების ეკლესიათა ფასადებზე ეპოქათა მანძილზე სხვადასხვა მნიშვნელოვანებითა და სიმრავლით წარმოჩინდება. მათ, უპირველესად, აერთიანებთ ზოგადქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან ნაზიარები მხატვრული ხედვა და თემატიკა. ნაშრომი შეძლებისდაგვარად გამოავლენს შუა საუკუნეების საფასადო სკულპტურის სპეციფიკურ თავისებურებას (საფასადო სისტემის, სიუჟეტების და სხვ.) და მათი ურთიერთმიმართება მართლმადიდებლურ ქვეყნებში.

- **წმინდა მხედრების გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ ქვის რელიეფებში (X-XIს.), თამარ დადიანი**

ნაშრომში განხილულია ჯოისუბნის (Xს.), ვალეს (Xს.), ნიკორწმინდის (XIს.) ტაძართა ფასადებსა და იყალთოს ფილაზე (XIს.) წარმოდგენილი პლასტიკური კომპოზიციები წყვილედ წმ. მხედართა გამოსახულებებით. იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია: ჰერალდიკურ სცენათა (წმ. ცხენოსნები ქრისტეს გამოსახულების წინაშე, ჟოისუბნის, ნიკორწმინდის, იყალთოს რელიეფები) თავისებურებანი, რისთვისაც მოხმობილია მდიდარი პარალელური მასალა; და გველეშაპისა და მეფე დიოკლეტიანეს სიმბოლურ სახეთა

იკონოგრაფია. ჯოისუბნისა და ნიკოწმინდის რელიეფთა შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი ე. წ. „რაჭულ“ სკოლას მიეკუთვნებიან. რელიეფურ გამოსახულებათა მხატვრული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა წმ. მხედართა გამოსახულებების სტილური განვითარება X-XI სს-ში.

- **შუა საუკუნეების საოქრომჭედლო სახელოსნოები** *(სამწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია)*, **ლ. ხუსკივაძე, თ. საყვარელიძე**

ნაშრომში მიზნად ისახავს შუა საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული საოქრომჭედლო სახელოსნოების შესწავლას. განხილულია „გელათის საოქრომჭედლო სახელოსნო“, რომლის არსებობაც ადრინდელი დროიდან არის სავარაუდებელი. ამ სახელოსნოს უნდა მიეკუთვნებოდეს მთელი რიგი მაღალმხატვრული ძეგლებისა და, მათ შორის, ხახულის კარედი ხატიც. გელათში საოქრომჭედლო სახელოსნოს ტრადიციებმა მოგვიანოდაც იჩინა თავი (მაგ., XVI ს.); სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის კარის (XVII ს.) საოქრომჭედლო სახელოსნო, შუა საუკუნეების სახელოსნოებს შორის ერთადერთი, რომელიც წერილობითაა დამოწმებული; XVI საუკუნის კახური საოქრომჭედლო სახელოსნო, რომელიც გრემში უნდა ყოფილიყო. გაანალიზირებულია ამ სახელოსნოებში შემუშავებული მხატვრული კონცეფციები, გამოვლენილია თითოეულის თავისებურებანი შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ზოგადი მხატვრულ-სტილური ტენდენციების ფონზე.

1.4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა

- **წევის წმ. გიორგის ეკლესია და მისი მოხატულობა** (*თემაზე მუშაობა დასრულებულია*), **იუზა ხუსკივაძე**

ნაშრომის ძირითადი ნაწილი წევის წმ. გიორგის ეკლესიის XVI ს-ის პირველი ათიანი წლების ხალხურად სახელდებულ მხატვრობას ეთმობა. იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტურ ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მოხატულობის ადგილი გვიანა შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების ისტორიაში. ნაშრომში განხილულია აგრეთვე ტაძრის არქიტექტურა და ტაძარში შემორჩენილი უფრო ადრეული – XI ს. და XIV ს.-ის ფრესკათა ფრაგმენტები. ნაშრომს თან ახლავს მოხატულობის ზუსტი მასშტაბის დაცვით შესრულებული იკონოგრაფიული სქემები და ფოტომასალა.

- **მეფეთა პორტრეტები XIII-XIV სს. კედლის მხატვრობაში** (*თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2011-2013 წწ.*), **ქეთევან მიქელაძე**

2012 წელს დამუშავდა თემის ერთი ნაწილი – XIII-XIV საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი მეფეთა თითოეული პორტრეტის (დემეტრე

თავდადებული დავითგარეჯის „ხარების“ ეკლესიაში, დავით ნარინის ორი პორტრეტი გელათის ღმრთისმშობლის ტაძარის სამხრ.-აღმ. ეგვტერში, დავით ნარინისა და დავით ულუს პორტრეტები რუისპირის წმ. შიოს ტაძარში, ბაგრატ V-ისა გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის კარიბჭეში, ბაგრატ III-ის ბედიაში) აღწერა და სცენათა იკონოგრაფიული ანალიზი; ადრეულ სამეფო პორტრეტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია XIII-XIV სს-ის საქტიტორო სცენების თავისებურებანი როგორც თემათა შერჩევის, ისე იკონოგრაფიული რედაქციებისა და მხატვრულ-სტილური თავისებურებების თავლსაზრისით.

- **იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა** (*გარდამავალი თემა.*), **ეკატერინე გედევანიშვილი**

2012 წელს დამუშავდა იკვის წმ. გიორგის ეკლესიაში სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლენილი ახალი მონასცემები. დაზუსტდა და გაირკვა ტაძრის მოხატულობის არაერთი დეტალი, აქამდე ჭვარტლით დაფარული არაერთი ფიგურა და „განკითვის დღის“ სცენაში ჩართული საკმაოდ ვრცელი წარწერა (დანიელ წინასწარმეტყველის ტექსტი და 50 ფსალმუნის ტექსტი და სხვ.). ეს მონაცემები და მათთან დაკავშირებული იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილური საკითხები საგანგებოდაა განხილული ნაშრომში.

- **ჰადიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა** (ორწლიან *თემაზე მუშაობა დასრულებულია)* **მარინე ყენია**

ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს ზემო სვანეთში შემორჩენილი, თამარის ეპოქის ერთ-ერთი საინტერესო ფრესკული ანსამბლი. წელს ძირითადი ყურადღება დაეთმო ჰადიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობის საქტიტორო პორტერტს; შუა საუკუნეების ქართულ საქტიტორო პორტრეტებთან შედარების საფუძველზე, გამოიკვეთა მისი თავისებურებანი. გარდა ამისა, გაანალიზდა სოფელ ჰადიშის ეკლესიებში შემორჩენილი ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც, სვანეთის სხვა წერილობით ძეგლებთან ერთად, მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის, ერთის მხრივ, ჩეგინათა გვარის ისტორიისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, საშუალებას იძლევა განვიხილოთ ზოგადად შუა საუკუნეების საქართველოსა და, კერძოდ სვანეთის, კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხთა უფრო ფართო წრე.

- **ჯაყელთა მოხატულობების ინტერპრეტაციისათვის (***თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2011-2013)***, მზია ჯანჯალია**

კვლევა ემყარება ჭულეს წმ. გიორგისა და საფარის წმ. საბასა და ღმრთისმშობლის ეკლესიათა მოხატულობების საკონსერვაციო სამუშაოთა შედეგად გამოვლენილი ახალი მონაცემებისა და არსებული ისტორიული წყაროების ანალიზს. ნაშრომის მიზანია მოხატულობათა შემადგენელი ნაწილების შესრულების თარიღების დაზუსტება და მოხატულობათა დახასიათება თანადროული ქართული და ბიზანტიური კედლის მხატვრობის ტენდენციათა კონტექსტში.

- **ახალი მასალები ნიკორწმინდის ტაძრის მხატვრობის ისტორიიდან, ეთერ ედიშერაშვილი, ნინო ციციშვილი**

ნიკორწმინდის ტაძრის მოხატულობა სამეცნიერო ლიტერატურაში დათარიღებულია XVII საუკუნის II ნახევრით, კერძოდ, XVII ს-ის 60-70-იანი წწ-ით, რაც ქტიტორთა (წულიკიძეები) გამოსახულებებს და წარწერებს ეფუძნება.

მხატვრობაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მასში რამოდენიმე ფენა განირჩევა, რომელიც წინ უსწრებს წულუკიძეთა პორტრეტებს (სამხრ-აღმ. და ჩრდ.-აღმ. ეკვდერთა I რეგისტრი). ისტორიული წყაროების და სტილური ანალიზის გათვალისწინებით დროითი სხვაობა რამდენიმე ათეულ წელს არ უნდა სცილდებოდეს. ასევე, გამოჩნდა, რომ XVIII-XIX სს-ში მომხდარა მოხატულობის გაცხოველება (თითქმის მთელი ტაძრის მასშტაბით) და ზოგან კი უშუალოდ მხატვრობაზე ახალი ფენის დადება (ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. ეკვდერებში XVII საუკუნის ფენაზე დადებული მხატვრობის კვალი იკითხება).

- **ბობნევის XVII საუკუნის დარბაზული ეკლესიის მოხატულობა, თინათინ ხოშტარია**

ნაშრომში განხილულია ბობნევის იოანე მახარებლის სახელობის ეკლესიის XVII ს-ის მოხატულობას. ტაძარი აიგო და მოიხატა პოეტ იოანე თბილელის თაოსნობით, რაზეც მისი პორტრეტი და ფრესკული წარწერა მოწმობს. ნაშრომში განხილულია მოხატულობის იკონოგრაფიულ-თეოლოგიური პროგრამა;

- **ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიისა და სტოას მოხატულობათა იკონოგრაფიული პროგრამების ურთიერთმიმართება, ანა კლდიაშვილი**

თემის მიზანი იყო ვარძიის მთავარი ტაძრისა და სტოას მოხატულობების იკონოგრაფიული პროგრამის გაანალიზება ცალ-ცალკე და შემდგომ მათ შორის არსებული კავშირებისა და ურთიერთმიმართების გარკვევა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ერთი მეტად არსებითი მომენტი: მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ტაძრის მოხატულობა (1184-86 წწ.) ქრონოლოგიურად ოდნავ წინ უსწრებს სტოას მოხატულობას, რომელიც XIII ს-ის დასაწყისს განეკუთვნება, მაინც ერთიანი პროგრამის მიხედვითაა აგებული. ტაძრის პროგრამა მოიცავს ტრადიციულ სცენებს – ღვთისმშობლის დიდებას საკურთხეველში, ათორმეტ დღესასწაულთა ციკლის სცენებს ტაძრის კედლებზე (მათ შორის, საიდუმლო სერობასა და ფერხთა ბანას), ქტიტორთა გამოსახულებებს და ცალკეულ წმინდანთა ფიგურებს). XII-XIII სს-თა ქართულ მოხატულობებში ამგვარ ტრადიციულ პროგრამას ასრულებს ხოლმე განკითხვის დღის სცენა (ბოჭორმა, ტიმოთესუბანი და სხვ.), რომელსაც ტაძრის ინტერიერში გარკვეული ადგილი უჭირავს. ვარძიის შემთხვევაში კი განკითხვის დღე გატანილია სამხრეთ სტოაში, საკმაოდ ვრცელ იკონოგრაფიულ ვერსიას მისდევს და მთელ კედლებს ფარავს. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიიუხედავად ამ მოხატულობებს შორის გარკვეული დროითი ინტერვალისა, ეს ორი მხატვრობა ერთიანი იკონოგრაფიული პროგრამის მიხედვითაა შექმნილი;

- **ბარეჯის ნათლისმცემლის მთავარი ტაძრის მოხატულობა და მისი მიმართება XII-XIII სს. მიჯნის მოხატულობებთან, მარინე ბულია.**

ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ დ. თუმანიშვილის სახელზე შემოსული განცხადების საფუძველზე წლის განმავლობაში თემა შეიცვალა ახალი თემით – **ეკტერინე პრივალოვას წიგნის „Тимотесубани" და თინათინ ვირსალაძის გამოკვლევის - „Фрагменты древней фресковой росписи главного гелатского храма" ქართული თარგმანის მომზადება (იხ. 9.1)**

1.5. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება

- **ზარზმის ფერისცვალების ხატის თაყვანისცემის ისტორიისათვის, ნინო ჭიჭინაძე**

გამოკვლევა ეხება შუა საუკუნეების ქართული ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული სიწმინდის, ზარზმის ფერისცვალების ხატის თაყვანისცემის ისტორიას. ხატი ქრისტიანული კულტურის მრავალ ასპექტს ათვალსაჩინოებს, რომელთა შორის უწინარეს ყოვლისა ხატის თაყვანისცემის რაობა უნდა დავასახელოთ. ხატის თაყვანისცემის მნიშვნელობა და თავისებური პრაქტიკა კარგადაა თავჩენილი, როგორც თვით ხატის შემორჩენილ ნაწილებზე, ისევე ხატის თაყვანისცემის დამკვიდრების აღწერაში, რომელიც ბასილი ზარზმელის «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების» ჰაგიოგრაფიულ ნარატივშია შენივთებული. გამოკვლევაში განხილულია ხატის იკონოგრაფიული თავისებურებები და შესაძლო პირველწყაროები. ხატის ისტორიას გაედევნება თვალი, როგორც საკუთრივ ხატის სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენის, ასევე ბასილი ზარზმელის «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების» ტექსტის მიხედვით. ვიზუალური და ტექსტუალური მასალის შეჯერებით მოხერხდა ხატის კულტისა და მისი სულიერი საზრისის მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენა-გააზრება.

- **ადრეული შუა საუკუნეების ქართული ისტორიული კოსტიუმის მხატვრულ-ესთეტიკური და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები, კიტი მაჩაბელი**

ნაშრომი ეხება ადრეული შუა საუკუნეების (V-VIIსს.) ქართულ რელიეფებზე (ქვაჯვარები, კანკელების რელიეფები, არქიტექტურული რელიეფები) შემონახულ საერო პორტრეტების კოსტიუმების ნიმუშებს. ნაჩვენებია საქართველოს წვლილი შუა საუკუნეების კოსტიუმის საერთო ისტორიაში. ძველი ქართული კოსტიუმი განხილულია მის თანადროულ ბიზანტიურ და აღმოსავლურ კოსტიუმებთან მიმართებაში. ტანსაცმლის ევოლუციაში ქვეყნებისა და ხალხების ისტორიული განვითარების ობიექტური სურათი აისახება. ქართულ ისტორიულ კოსტიუმში გამოვლენილია ადგილობრივი ტრადიციული ელემენტები. კოსტიუმი განხილულია, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, ასევე საგარეო ორიენტაციის ამსახველი საბუთი.

1.6. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორია

- **ქართული გამოყენებითი გრაფიკული ხელოვნების განვითარების ისტორია (XIX საუკუნიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე),** *(სამწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია),* **მარიამ გაჩეჩილაძე**

2012 წელს შესრულებული ნაშრომი წარმოადგენს 2010-2011 წლებში დამუშავებული მასალების შეჯერების შედეგად შესრულებულ ტექსტს, რომელშიც მიმოიხილება ქართული წიგნის მხატვრული გაფორმების და გამოყენებით გრაფიკის სხვა სახეობების (საჟურნალო-საგაზეთო მხატვრობა, ექსლიბრისის ხელოვნება, ღია ბარათები, ფულის ბანკნოტები, სათეატრო სარეკლამო აფიშები, პლაკატი) ჩასახვისა და განვითარების გზა. ქართულ გამოყენებითი გრაფიკის ნიმუშების განხილვაზე დაყრდნობით, პირველნაბეჭდი წიგნიდან მოყოლებეული *(1629 წელს რომში, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში მხედრული შრიფტით დაიბეჭდა ორი წიგნი – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“)* 1950-ან წლებამდე - იკვეთება დროის მოთხოვნილების ცვალებადობიდან გამომდინარე პროცესები, ჩანს მხატვრული თვალსაზრისით სრულიად სხვადასხვაგვარი მიდგომა, ვლინდება საქართველოში, ამ პეროიდის მანძილზე, გამოყენებითი გრაფიკის დარგის განვითარებაში არსებული პროცესები. ამავე დროს მასალის მოძიების პროცესში შეიქმნა 1940-50-ან წლებში გამოცემული სხვადასხვა მხატვრის მიერ გაფორმებული წიგნების კარტოტეკა, რომელიც თან ერთვის ნაშრომს.

- **XX საუკუნის დასაწყისის ქართული დაზგური გრაფიკა,** *(სამწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია)* **მარინე მეძმარიაშვილი**

2012 წელს შეჯამდა წინა წლებში დამუშავებული მასალა და დაიწერა რამდენიმე ნაწილისაგან შედგენილი ნაშრომი: I – *მხატვრული ცხოვრება თბილისში XX ს. პირველი ოცი წლის მანძილზე* – განხილულია საგამოფენო საქმიანობა, მხატვრული გაერთიანებები და მიმდინარეობები, კაფე-ბარების როლი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. II – *ახალგაზრდა ქართველი მხატვრების მოღვაწეობა საფრანგეთში* – განხილულია ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის, მ. ბილანიშვილის, შ. ქიქოძის პარიზში გატარებული წლები; III – *ფუტურისტული მოძრაობა საქართველოში* – განხილულია რუსი და ქართველი ხელოვანების ურთიერთობები 10-ანი წლების ბოლოს: საგამომცემლო საქმიანობა, ნოვაციები გრაფიკაში და ფუტურისტული მანიფესტები; გამოვლენილია ძმები ზდანევიჩების: პოეტ ილიას და მხატვარ

კირილეს წამყვანი როლი ფუტურისტულ მოძრაობაში. IV – *დაზგური გრაფიკის ჟანრების ჩამოყალიბება XX საუკუნის დასაწყისში.* თემის დასკვნით ნაწილში განხილულია სამი ძირითადი ჟანრის – პორტრეტის, პეიზაჟისა და სიუჟეტური და ჟანრული ხასიათის კომპოზიციების – ჩამოყალიბების გზები.

- **ექსპრესიული ტენდენციები ქართულ მხატვრობაში, ცისია კილაძე**

ექსპრესიონისტული ტენდეციები 1920-იან წლების ქართულ მხატვრობაში განხილულია შალვა ქიქოძის ავტოპორტრეტების მაგალითზე. ავტოპორტრეტის თემა ქართულ მხატვრობაში აქამდე გამოკვლეული არ ყოფილა. თუ დასავლეთ ევროპულ მხატვრობას ავტოპორტრეტის ჟანრის ხანგრძლივი ისტორია აქვს, ჩვენს ხელოვნებაში ის მოდერნიზმის ეპოქაში ჩნდება. ტიპოლოგიურად, კომპოზიციური თუ სტილისტური თვალსაზრისით, ფსიქოლოგიური სიმძაფრის ხარისხით შალვა ქიქოძის ავტოპორტრეტების უმრავლესობა ერთმანეთის მსგავსია. სავარაუდოა, რომ, მხატვარი საკუთარ თავს ძირითადად სარკეში დაკვირვების შედეგად ხატავდა.

- **თბილისური სკოლა. გამოჟენებითი ხელოვნების ნიმუშები (მინანქრისა და სპილოს ძვლის მინიატურული ნაკეთობები) (XIX ს. 1870-იან წლებამდე),** *(თემაზე მუშაობა დასრულებულია),* **მაია ციციშვილი**

ქართული პორტრეტული მინიატურის ნიმუშები, როგორც დღეისათვის დადგინდა ტფილისურ პორტრეტულ სკოლამდე უნდა იყოს შექმნილი. დღეისათვის შემორჩენილი დაახლოებით ორმოცდაათ პორტრეტთაგან ნაწილი XVIII ს-ის ბოლოს შესრულდა ქართული ფერწერული პორტრეტის პარალელურად, ხოლო მისი ყველაზე გვიანდელი ნიმუშები მხატვარ ე. ბარათაშვილის მიერ 1900-იან წლებშია დახატული. ფერწერული პორტრეტების მსგავსად, აქაც ქართველ მეფეთა, ბატონიშვილთა და ქართველ და რუს თავადაზნაურთა და სახელმწიფო მოხელეთა გარკვეული ნაწილია დახატული. როგორც ჩანს, მინიატურულ პორტრეტთა უფრო ხანგრძლივი არსებობა მათმა განსხვავებულმა ფუნქციურმა დანიშნულებამ განაპირობა და ფოტოგრაფიის დამკვიდრებამ, ვერ მოსპო. აღსანიშნავია ისიც, რომ „ტფილისური პორტრეტული სკოლისაგან“ განსხვავებით მინიატურული პორტრეტების საერთო მხატვრული სახე სტილისტურად უფრო მრავალფეროვანია: აშკარად იკვეთება როგორც ადგილობრივი პორტრეტული ტრადიციების მიდევნებით შექმნილი ნაწარმოებები, ასევე ევროპული მინიატურული პორტრეტული მხატვრობის და ყაჯარული ფერწერის სტილისტური ნიშნები.

- **უახლესი დროის (XX ს-ის) ქართული მხატვრობის ევოლუციის თავისებურებანი, გიორგი ხოშტარია**

ნაშრომი მიზანდ ისახავს XX ს-ის ქართული მხატვრობის განვითარების გზისა და მისი თავისებურებების წარმოჩენასა და ანალიზს.

- **1930–1950 წლების ქართული ქანდაკება, ნანა მირცხულავა**

ნაშრომში, კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, განხილულია განსაზღვრული ფილოსოფიური თუ პოლიტიკური მოტივაციების მქონე, ევროპული ხელოვნების ბევრ მხატვრულ მიმდინარეობებისაგან განსხვავებული, წმინდა დეკორატიული, ინტერნაციონალური სტილის არ-დეკოს რეგიონალური ვარიანტი. გამოვლენილია არდეკოს ლოკალური თავისებურებები ქართულ საბჭოთა ქანდაკებასთან მიმართებაში. მასაზრდოებელ წყაროთა სიუხვის, გეოგრაფიული გავრცელებულობის ცვალებადობის, მხატვრულ თუ კულტურულ-ისტორიული თავისებურებების ნიშნით განსხვავებულობის მიუხედავად, არდეკოს მყარი ნიშნებიც აქვს, რომლებიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოკვეთილად იჩენენ თავს სხვადასხვა ისტორიული ტრადიციების მქონე, განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, რაც ქართულ საბჭოთა ქანდაკების დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთიან მხატვრულ სივრცეში მოაზრების საშუალებას იძლევა.

- **საქართველოში მოღვაწე ევროპელი (რუსი, პოლონელი, იტალიელი და სხვ.) მხატვრები (XIX-XX სს.), ნინო ჭოდოშვილი**

ნაშრომი მიმოიხილავს უცხოელი მხატვრების საქართველოში მოღვაწეობის პერიოდს, ძირითადად XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წლებამდე. ქართული დაზგური მხატვრობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოში დროებით ჩამოსულ თუ სამუდამოდ დასახლებულ არაქართველ მხატვრებს, რომელთა შორის იყვნენ გერმანელი, რუსი, პოლონელი, იტალიელი, სომეხი და სხვა ეროვნების ხელოვანები, ასევე საქართველოში დასახლებული გერმანელი კოლონისტების შთამომავლები (აკოფიანი, ბაიკოვი, ბლიოტკინი, ბობერმანი, გაგარინი, გრიგორიანცი, ვალიშევსკი, ზანკოვსკი, ზომერი, კვესი, კოლჩინი, კროტკოვი, ლანსერე, ლონგო, პრემაცი, რომანოვსკი, როტერი, სარიანი, სკლიფასოვსკი, ტილკე, ფოგელი, ფრანკენი, შამშინიანი, შარბაბჩიანი, შარლემანი, შმერლინგი, შტენბერგი, ჰრინევსკი, ჰორშელტი და სხვ.). ეს მხატვრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას. წლიური თემის ფარგლებში განხორციელდა უცხოელი მხატვრების ნაწარმოებების კვლევა, საქართველოსთან დაკავშირებული მათი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდების, ბიოგრაფიული მონაცემებისა და მნიშვნელოვანი ფაქტების შესწავლა, ბიბლიოგრაფიის დამუშავება.

- **მოდერნული პარადიგმები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ხელოვნებაში. ურბანული თემა და ავტოპორტრეტი, თეა ტაბატაძე**

საკვლევი თემა ზოგადი ასპექტით XX საუკუნის დასაწყისის ქართული ხელოვნების დასავლეთის მოდერნულ ხელოვნებასთან მიმართების საკითხს ეხება. უფრო კონკრეტულად, მისი მიზანია, გამოკვლეულ იქნას ამ პერიოდის ქართული ხელოვნების, კერძოდ, ავტოპორტრეტებისა და ურბანულ თემებზე

შესრულებული ნამუშევრების მხატვრული ფორმისა და შინაარსის, მათში გამოვლენილი მხატვრის მსოფლგანცდის თავისებურებები (ანუ, როგორია მოდერნული გარემოსა და მოდერნული დროის მიმართ მხატვრის თვითრეფლექსია) და განიხილოს ისინი ზოგად ევროპულ მოდერნულ დისკურსთან მიმართებით.

ავტოპორტრეტი, განსაკუთრებით მოდერნულ ხელოვნებაში, ყველაზე მძაფრად ავლენს მხატვრის, როგორც პიროვნების თვითგანცდას, თვითმოაზრებას მოდერნულ დროში. ურბანული თემა კი ასევე ყველაზე მეტი პირდაპირობით ასახავს იმას, თუ როგორ განიცდება მოდერნული გარემო მოდერნისტის მიერ, როგორია მისი დამოკიდებულება თანამედროვეობის მიმართ. ამ ორივე თემას საერთო - მსოფლგანცდითი ასპექტი აერთიანებს. კვლევის საბოლოო მიზანი სწორედ ამ ასპექტის წარმოჩენაა.

(შენიშვნა: მუშაობის პროცესში თემასთან მიმართებით გამოვლინდა დამატებითი ასპექტის გამოკვეთის საჭიროება. იგი ქართულ მოდერნისტულ ხელოვნებაში პეიზაჟის, როგორც ჟანრის თავისებურებებს ეხება. რამაც შეცვალა თემის თავდაპირველი სრუქტურა, სხვაგვარად დაისვა და გადანაწილდა აქცენტები; შესაბამისად გაიზარდა კვლევის ვადა);

- **მანაბა მაგამედოვას ხელოვნება, დალი ლებანიძე**

მანაბა მაგამედოვას (დაბ. 1928 წ.) შემოქმედება ქართული და დაღესტნური ხელოვნების განუყოფელი ნაწილია. ამავე დროს მის მიერ შექმნილ ნამუშევრებზე თვალის გადევნება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგის, ჭედურობის განვითარების გზა თითქმის მთელი XX საუკუნის მანძილზე. მ. მაგამედოვა ყუბანელი ქალია, ოქრომჭედელთა მეთერთმეტე თაობის შთამომავალი, აღზრდილია ყუბაჩურ ტრადიციებზე, მაგრამ მთელი შეგნებული ცხოვრება თბილისში გაატარა. მის შემოქმედებაში ერთმანეთს შეერწყა კუბაჩური, ქართული და ევროპული საიუველირო ტრადიციები. მ. მაგამედოვას შემოქმედება, რომელიც გარკვეული წინააღმდეგობებით ხასიათდება, ძალიან საინტერესოა ტრადიციის რღვევისა და ახლის დანერგვის თვალსაზრისით.

- **თბილისური ავანგარდი 1910-1920-იან წლებში - კულტურა/ხელოვნება და მისი მნიშვნელოვანი წარმომადგენლები (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, შ. ქიქოძე, ბ. გორდეზიანი, ი. გამრეკელი, კირილე და ილია ზდანევიჩები და სხვები), მზია ჩიხრაძე**

ნაშრომი ეძღვნება გასული საუკუნის დასწყისის თბილისის მხატვრულ-კულტურულ ცხოვრებას, სადაც სხვადსხვა ეროვნების შემოქმედნი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და მეტად საინტერესო შემოქმედებით გარემოს ქმნიდნენ. ნაშრომში მიმოხილულია ქართველი მხატვრების ინოვაციური ხელოვნება თანამედროვე რუსული და დასავლეთევროპული ხელოვნების ფონზე, დახასიათებულია ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრული მოვლენა, როგორიც იყო ფუტურიზმი რუსეთსა და საქართველოში. განხილულია თბილისში იმ პერიოდში გამოცემული ფუტურისტული წიგნები, ლიტერატურულ-არტისტული კაფეები,

მათი მოხატულობა, იქ მიმდინარე კუტურული თუ ბოჰემური ცხოვრება, გამოფენები, მოდერნისტ მხატვართა შემოქმედება – ყოველივე რაც მაშინდელი თბილისის სპეციფიკურ, მულტიკულტურულ, მრავალშრეობრივ მხატვრულ ცხოვრებას შეადგენდა.

- **სივრცის პრობლემა ქართულ-ტფილისურ მოდერნიზმში, ნანა ყიფიანი**

ნაშრომი მიზნად ისახავს, ქართულ-ტფილისური 1910-1920-ანი წლების მოდერნიზმის თავისებურების გამოვლენას და მასში სივრცის მნიშვნელობის კვლევას: თუ რატომაა სივრცე ასე მნიშვნელოვანი ქართული მოდერნიზმისთვის და რა სახის სივრცე აინტერესებს მას, როგორ უკავშირდება მისი სივრცითი აზროვნება ტრადიციას. გაანალიზებულია ქართველ მოდერნისტთა შემოქმედება, უფრო კი მათი ცაკლეული, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, იმ პერიოდის პუბლიკაციები და მწერლებისა და პოეტების ნააზრევი.

სივრცითი აზროვნების თავისებურება გამოვლენილია დასავლეთ ევროპის ვიზუალურ მასალასთან შედარების გზითაც და იმ პერიოდის მნივშნელოვანი თეორიული ნააზრევების ანალიზითაც.

- **1950-იანი წლების ქართული ფერწერა,** *(სამწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია)***, ლიანა ანთელავა**

2012 წელს დასრულდა სამწლიან სამეცნიერო თემაზე მუშაობა, რომლის ფარგლებში მოხერხდა ამ რთული და არაერთმნიშვნელოვანი მოვლენის კვლევის საწყისი ეტაპის განხორციელება. კერძოდ, ისტორიულ-სოციალური ფონის კვლევისათვის საკითხთა ახლებური დაყენება, ქართული სოციო-კულტურული სივრცის აღწერა და გააზრება მთელი საბჭოთა სივრცის ქართულ სინამდვილესთან ანალიტიკური შედარება ანალოგიის გზით არის განხორციელებული.

ნაშრომში დასმულია ქართული კულტურის რეფლექსიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ***ქართული კულტურული ტრადიციის მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ხელოვნების ესთეტიკური ფენომენის ფორმირებაში*** და განხორციელებულია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა. თუმცა შესწავლილია ამ რთული და მრავალმხრივი მხატვრული მოვლენის მონაწილე მრავალ მხატვართაგან მხოლოდ რამდენიმე: ედ. კალანდაძე, ზ. ნიჟარაძე, ჯ. ხუნდაძე. აღსანიშნავია, რომ ეს სამი მხატვარი ყველაზე უფრო გამოკვეთილი საკულტო ფიგურაა (გურამ ქუთათელაძესთან ერთად) 70-იანი და 80-იანი წლების ქართულ ფერწერაში. უთუოა, რომ ამ მოვლენის ამომწურავი შესწავლა უნდა გაგრძელდეს, უცნობი ასპექტების გამოვლენით თუ ნაკლებად პოპულარული მოვლენები და მხატვრების შემოქმედების შესწავლით.

1.7. ქართული სცენოგრაფია

- **კირილე ზდანევიჩი რუსთაველის თეატრში, თამარ ბელაშვილი**

ნაშრომი ეხება მხატვარ კირილე ზდანევიჩის თეატრალურ შემოქმედებას, რომელიც სამეცნიერო კვლევის ობიექტი არასოდეს გამხდარა. შეგროვდა და დამუშავდა საჭირო დოკუმენტური თუ ვიზუალური მასალა, რომელიც მოძიებულ იქნა ხელოვნების მუზეუმში, მხატვრის ოჯახში, თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში, საქ. ცენტრალურ არქივში, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების მუზეუმებში, დამუშავდა იმდროინდელი პერიოდული გამოცემები. ჩატარებული სამუშაოს შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ამ მხატვართან მიმართებაში აქტუალურად გვესახება. მათ შორის: პირველი ექსპრესიონისტული პიესების გაჩენა-განხორციელების საკითხი ქართულ თეატრში, კუბო-ფუტურისტული, კონსტრუქტივისტული და დადაისტური ელემენტების არსებობა XX ს.-ის დასაწყისის ქართულ სცენოგრაფიაში და თამაშის მხატვრული კატეგორიის დამკვიდრების მცდელობა ქართული თეატრის მხატვრობაში. შესაბამისად რუსთაველის თეატრში კირილე ზდანევიჩის მოღვაწეობის შესწავლამ აქამდე უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი მასალის პარალელურად XX ს.-ის პირველ ათწლეულებში ქართული პროფესიული სცენოგრაფიის ფორმირების პროცესში არსებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი წარმოაჩინა.

- **XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თეატრის მხატვრობა (ჟურნალ-გაზეთების დამუშავება: „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ივერია“ .... XIX-ის 80-იანი წლებიდან 1920 წლამდე), ელენე თუმანიშვილი,** *(თემაზე მუშაობა დასრულებულია)*

დამუშავდა XIX ს-ის 90-იანი წლებისა და XX ს-ის 10-20-იანი წლების პერიოდიკა („დროება“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ივერია“ და სხვ.), სადაც მოცემულია ამ პეიოდის სასცენო ხელოვნების (მსახიობთა თამაშის, რეჟისორული ნამუშევრის, სცენის მხატვრული გაფორმების) როგორც ზოგადი დახასიათება, ასევე, თეორიული მსჯელობა და კონკრეტული აღწერა. ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი გამოირჩეოდა იმით, რომ ქართული სცენა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა პროფესიული დონის ამაღლებისაკენ.

- **თეატრის მხატვრობა 1930-იან წლებში, მარიანა ოკლეი** *(თემა ჩაფიქრებულია ერთი დიდი ნაშრომის ნაწილად რამოდენიმე თანაავტორის მონაწილეობით).*

XX საუკუნის ოცდაათიანი წლები მნიშვნელოვანი პერიოდია ქართულ სცენოგრაფიაში. ამ დროს ჯერ კიდევ გრძელდება თამამი ექსპერიმენტები, კონსტრუქტივიზმი ენაცვლება კუბო-ექსპრესიონიზმს, აბსტრაქტულ ფორმებთან ერთად ჩნდება პლასტიკურ-მეტაფორული ელემენტები, რეალისტური, რომანტიკული სახეები, თუმცა ყველა მხატვრულ-სტილისტურ გააზრებაში სრული სიმძაფრით თავს იჩენდა სპექტაკლის თავისთავადი პირობითი ენა, რომელიც შორს იყო ყოფის მიმბაძველობისაგან. XX ს-ის 30-იან წწ-ის ბოლოდან თეატრში მოღვაწე ქართველი მხატვრები, ძლიერი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ. ისინი იძულებულნი იყვნენ შეეცვალათ თავისი პოზიციები. 1920-იანი წლების ავანგარდული მიმართულების მრავალმხრივი გამოყენება, 1930-იან წლების ბოლოს სცენური სივრცის მიმართ შედარებით მარტივი დამოკიდებულებით შეიცვალა. თუ 1920-იან, 30-იან წლების დასაწყისში მხატვრები სცენის მთელ გარემოს ითვისებდნენ, სადაც ლაკონური, აბსტრაქტულ-გეომეტრიული კონსტრუქციები მსახიობს მოქმედების განსაკუთრებულ რიტმს, მიზანსცენათა კონტრასტულ შეპირისპირებას სთავაზობდნენ, 1930-იანი წწ-ის ბოლოდან ისინი იძულებულები გახდნენ სცენა თხრობით-ლიტერატურულ დონემდე დაეყვანათ, რეალისტური პანო-სურათები სცენის ფონად წარმოედგინათ, რომელიც პიესის მსახველობას ბანალურ იერს ანიჭებდა. მაგრამ თეატრი, თავისი სპეციფიკით პირობითი სამყაროა, რომლის სინთეზური ორგანიზმი გამძლე აღმოჩნდა მხატვრული წარმოსახვისა და ფანტაზიის რეალიზებისათვის. ბევრმა მხატვარმა შეძლო მეტ-ნაკლებად შეენარჩუნებინა თავისი ინდივიდუალური ხელწერა, თუმცა მოქცეული გარკვეულ ჩარჩოებში.

1.8. ახალი არქიტექტურის გავითარების ისტორია

- **საქართველოს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის 10-იანი წლების არქიტექტურა. 1910–იანი წლების არქიტექტურა (თბილისი), თამაზ გერსამია** *(სამწლიან თემაზე მუშაობა დასრულებულია)*

ნაშრომი წარმოადგენს სამწლიანი თემის ბოლო ნაწილს. მასში განხილულია საქართველოს და კერძოდ თბილისის აღნიშნული პერიოდის არქიტექტურის განვითარების ისტორია. ვინაიდან ამ დროს საქართველო უკვე მოქცეული იყო საერთო ევროპული განვითარების პროცესში, ამიტომ მისი ქალაქების

არქიტექტურაში დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მსგავსად გავრცელდა სხვადასხვა ევროპული სტილები, რომელთა უმეტესობა მანამდე უცნობი იყო. თბილისის არქიტექტურა სავსებით ასახავს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის დასავლური არქიტექტურის გზებს. ნაჩვენებია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი სტილისტური მიმართულებები, დადგენილია განაშენიანების თავისებურებანი, განხილულია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობები და დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლები, გამოყოფილია საცხოვრებელი სახლების ძირითადი ტიპები. თბილისის სხვადასხვა არქივში დაცული იმდროინდელი პრესის გაცნობის შედეგად მოპოებულია ცნობები იმ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის შესახებ, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ-არქიტექტურულ ინტერესს იწვევს; წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივსა და თბილისის საქალაქო არქივის ფონდებში დაცული საარქივო მასალა.

- **XIX საუკუნის თბილისის საერო არქიტექტურა** (ციხისუბნის უძველესი განაშენიანების ერთი ნაწილის 2010-2012 წლებში მიმდინარე საამშენებლო პროცესების შედეგები**), მაია მანია**

ნაშრომის მიზანია თბილისის ციხისუბნის დღეს დაკარგული ფასეულობის – მრავალფენიანი განაშენიანების, უძველესი (XVII, XVIII სს.) ტიპოლოგიისა და XIX საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთით დათარიღებული საცხოვრებელი სახლების წარმოჩენა და მათი ანალიზი. განხილულია ციხისუბნის ერთ ნაწილში 2011-2012 წლებში მიმდინარე სამშენებლო პროცესები, რომელმაც გააქრო ქუჩათა შუასაუკუნეებრივი ქსელი, უძველესი ტიპოლოგიის საცხოვრებელი შენობები, დაარღვია ტრადიციული მიმართებები ძველ შენობებსა და რელიეფს შორის, უგულებელჰყო ძველი სამშენებლო მასალა, არ გაითვალისწინა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მასშტაბი და ტრადიციები.

- **საცხოვრებელ სახლებად გადაკეთებული ეკლესიები თბილისში, მანონ ლილუაშვილი**

ნაშრომში განხილულია XVIII ს.-დან XX ს-ის დასაწყისამდე აგებული ექვსი საეკლესიო შენობა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში საცხოვრებელ სახლებად გადაკეთდა და დღემდე ინარჩუნებს ამ ფუნქციას. ეს ეკლესიებია: წმ. ესტატესი (ახვლედიანის ქ. №2), წმ. თეოდოსისა (Федосеевская церковь, გრიბოედოვის ქ. №48), კვირაცხოვლისა (ჩაისუბნის ქ. №7გ), წმ. ღმრთისმშობლისა (სომხური, კრწანისის ქ. №8), წმ. მიქაელ მთავარანგელოზისა (მთავარანგელოზის ქ. №23) და ხარებისა (1755 წლამდე კათოლიკური, შემდეგ მართლმადიდებლური, აბესაძის ქ. №13). ნაშრომი ეფუძნება როგორც შენობების ადგილზე კვლევას, ისე საარქივო ნახაზების, ძველი ფოტოსურათებისა და სხვადასხვა სახის წერილობითი ცნობების (ოფიციალური დოკუმენტები, ანგარიშები, ძველი პრესა, მოგონებები და სხვა) შესწავლას. განხილულია ეკლესიების მშენებლობის ისტორია და არქიტექტურული თავისებურებები.

- **XIX და XX საუკუნის დასაწყისის თბილისური ქარვასლები, ირინე მანია**

ნაშრომი თბილისური ქარვასლების მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობის გამოვლენას, სტილისტური თავისებურებების წარმოჩენას და ძველი ქალაქის ისტორიულ ქსოვილში მათი ადგილის განსაზღვრას ისახავს მიზნად.

ძველთბილისური ქარვასლების შესახებ ისტორიული ცნობების მოძიების, თბილისის უდიდეს და ერთ-ერთ უძველეს უბან კალაში დღემდე გადარჩენილი ქარვასლების არქიტექტურის შესწავლის, თითოეული ნაგებობის სახასიათო ნიშნების დადგენის და მოგროვებული მასალის შეჯერების საფუძველზე ნაშრომში განხილული ქარვასლების მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება გამოვლინდა, მათი გეგმარებითი და სივრცით-კომპოზიციური ანალიზის საფუძველზე კი თბილისური ქარვასლების ადგილობრივ ნიადაგზე ტრანსფორმაციის ნიშნები გამოიკვეთა. ნაშრომი თბილისური ქარვასლების თავმოყრასა და მათი ერთად განხილვის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

- **1930-ანი - 1950-ანი წლების ე.წ. „სტალინური“ პერიოდის არქიტექტურა საქართველოში, ლალი ანდრონიკაშვილი**

2012 წლის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა თემაზე „1930-იანი - 1950-იანი წლების ე.წ. „სტალინური“ პერიოდის არქიტექტურა საქართველოში“ და განხორციელდა სახელგანთქმული არქიტექტორებისა და მათი ნამუშევრების კატალოგიზაცია პრინციპით – ავტორი; ნამუშევარი; შეფასება. ყურადღება გამახვილდა იმდროინდელი არქიტექტურის იდეოლოგიური ჩარჩოების ფარგლებში ცალკეული ავტორების მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან მხატვრულ მიღწევებზე, როგორც ეროვნული არქიტექტურის მოტივების გამოყენებით, ისე მსოფლიო არქიტექტურულ კლასიკაზე დაყრდნობით. ე.წ. „სტალინური“ არქიტექტურა ორჯერ იყო არაშესაფერისად შეფასებული - ჯერ როგორც ერთადერთი სწორი ხაზი XX საუკუნის ქართული არქიტექტურის განვითარებაში (კონსტრუქტივიზმის, მოდერნიზმისა და ფორმალიზმის საპირისპიროდ) და, შემდგომ, უკანასკნელ წლებში, როგორც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსისთვის არაშესაფერისი ხუროთმოძღვრება (მაგ., „იმელი“ და ბათუმის „ინტურისტის“ შჩუსევისეულ შენობებისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნის ფაქტი, შენობებიდან საბჭოთა სიმბოლიკის ჩამომტვრევა („იმელის“, პარლამეტის შენობის რელიეფები და სხვ). ნაშრომის საბოლოო დამუშავება-დახვეწა და შემდგომი გამოქვეყნება რამდენადმე შეცვლის ამ გაბატონებულ ტენდენციას და ახლბურად წარმოაჩენს ამ არქიტექტურის არაერთმნიშვნელოვან ღირებლებას.

1.9. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა

- **ვახტანგ ბერიძის კრიტიკულ-ბულიცისტური და მემუარული ნაშრომების კრებული, დიმიტრი თუმანიშვილი**

კრებულად გამოსაცემად მომზადდა აკად. ვ. ბერიძის კრიტიკულ-პუბლიცისტური და მემუარული ნაშრომები (წერილები, გამოსვლები – მათი ნაწილი – გამოუქვეყნებელი). ჩატარდა მასალების გაცხრილვა, შემოწმდა ბიბლიოგრაფიული მონაცემები, გადმოქართულდა რუსულად დაწერილი პუბლიკაციები თუ ხელნაწერები, შეირჩა შრომების დალაგების წესი (ქრონოლოგიური პუბლიცისტიკის, თემატურ-ქრონოლოგიური მემუარისტიკის შემთხვევაში);

- **გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული მონოგრაფიული ნაშრომების ქართული თარგმანის მომზადება, მაკა ბულია**

ქართულად გამოცემის მიზნით ითარგმნა ე. პრივალოვას წიგნი „Тимотесубани" და თ. ვირსალაძის გამოკვლევა „Фрагменты древней фресковой росписи главного гелатского храма";

- **ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" (ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენა), (*თემა დასრულებულია*), ნინო ჭინჭარაული**

ნაშრომი ითვალისწინებს სახელოვნებო საკითხებზე „საბჭოთა პერიოდიკის", როგორც ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური ბერკეტისა და ქართულ კულტურულ სივრცეში შემოქმედებითი პროცესების „ოფიციალურად განმკარგავი" ორგანოს, შესწავლა-დამუშავებას, კერძოდ, სახვითი ხელოვნების შესახებ არსებული სტატიების შეკრებას. საკვლევად შეირჩა ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება".

2012 წელს შესრულებული სამუშაო, 2010-2011 წლებში განხორციელებული საქმიანობის მსგავსად, სახვითი ხელოვნებაზე ჟურნალში „*საბჭოთა ხელოვნება*" გამოქვეყნებული სტატიების ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენას ითვალისწინებდა.

2010 წ-ს შესრულებული ბიბლიოგრაფია 1936-1961 წლებს მოიცავდა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული შესაბამისი პერიოდული მასალის მიხედვით იყო შედგენილი; 2011 წ-ს ანოტირებული ბიბლიოგრაფია გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკაში დაცულ მასალებს დაეყრდნო, რამაც სამუშაო „*საბჭოთა ხელოვნების*" ნომრების უკიდურესი დეფიციტის გამო, მხოლოდ 1978, 1984, 1985, 1989, 1991 წლების გამოცემებით შემოფარგლა. საბოლოოდ მომზადებულია 1962-1977, 1979-1983, 1986-1988 და 1990 წლების ჟურნალ „*საბჭოთა ხელოვნების*" ნომრების სახვითი ხელოვნების სტატიების სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფია.

2012 წელს შედგენილ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას, ისევე როგორც 2010-2011 წლებში შესრულებულ სამუშაოს, დართული აქვს საძიებელი, რომელშიც სტატიები დარგების მიხედვითაა დალაგებული შემდეგი თანმიმდევრობით: არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, თეატრის მხატვრობა,

გამოყენებითი ხელოვნება, კულტურული მემკვიდრეობა, საგამოფენო რეცენზიები, უცხოეთის ხელოვნება/ჟურნალისტის დღიური, ახალი წიგნები, პერსონები/იუბილეები და კულტურა/თეორია.

2. ძეგლთა აღწერილობა და სამეცნიერო ინფორმაცია

ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაო:

- ცენტრსა და საერთაშორისო დოკუმენტაციის კომპანია IDC-ს შორის კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოები, სახელდობრ მუშაობა მიმდინარეობდა კრებულის "ქართული არქიტექტურა" მეგზურის ბიბლიოგრაფიის სრულყოფაზე და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა საძიებლების (ანბანური, ტიპოლოგიური, ქრონოლოგიური, ფუნქციური და გეოგრაფიული სახელების) მომზადებაზე, რომელიც განთავსდება აღნიშნული კრებულის გამომცემლის, BRILL IDC-ეს ვებ-გვერდზე.
- მომზადდა ხუროთმოძღვრული და კედლის მხატვრობის ძეგლთა სამეცნიერო აღწერილობები და სახვითი მასალა (60 სტატია, 300 ნახაზი და 400-მდე ფოტოსურათი) "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მრავალტომეულის მე-3 წიგნის I ნაწილისათვის, რომელიც გამოიცემა ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარ სამეცნიერო რედაქციასთან თანამშრომლობით – 2013 წლის III კვარტალში. ეს სამუშაო მომავალ წელსაც გაგრძელდება. გარდა ამისა, სამეცნიერო აღწერილობები და სახვითი მასალა მომზადდება წიგნის II ნაწილისთვისაც.
- მუშაობა მიმდინარეობადა და მომავალ წელსაც გაგრძელდება პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილ დიგიტალური გზამკვლევის (ინგლისურ ენაზე) "ქართული არქიტექტურა – აღმოსავლეთ საქართველო" – სრულყოფაზე.
- გამოსაცემად მომზადდა სერიის – "ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ" – მე 4 ალბომი – "ხანძთა".
- მიმდინარეობს ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა დიგიტალური არქივის შესაქმნელად ჯგუფის არქივის ფოტოსურათების და ნახაზების ციფრულ ფორმატში ჩაწერა.

3. არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი

3.1. ცენტრის არქივის თანამშრომელები აგრძელებდნენ საარქივო მასალის დამუშავებას, სისტემატიზაციასა და კატალოგიზაციას.

- 1974-1979 წლებში იტალიელი მეცნიერების (ალპაგო ნოველოს მასალა) მიერ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმისათვის გადაღებული ქართული არქიტექტურის ძეგლების ნახაზების ფოტოასლების მიხედვით გაკეთდა შემდეგი რეგიონების: შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის და ზემო სვანეთის ცნობილი არქიტექტურული ძეგლების სააღრიცხვო ბარათები. განხორციელდა მათი სისტემატიზაცია, კატალოგიზაცია (გარდამავალი სამუშაო), ბაადურ კუპრეიშვილი;
- XX-XXI სს. არქიტექტორ-რესტავრატორთა შესახებ ბიოგრაფიული ცნობარის შედგენა (გარდამავალი სამუშაო), ხათუნა ჭურღულია.

3.2. ბიბლიოთეკა

ცენტრის ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს წიგნების დამუშავება, გაწმენდა, დახარისხება (გარდამავალი სამუშაო); ახალი წიგნების რეგისტრაცია. ცენტრის ახალ შენობაში გადასვლათან დაკავშირებით ბიბლიოთეკასა და არქივში მომდინარეობს შესაბამისი (წიგნებისა და არქივის შეფუთვა, სისტემატიზაცია და სხვა) სამზადისი.

3.3. ცენტრის ვებ-გვერდი

მიმდინარეობს ცენტრის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება და ახალი მასალით შევსება (ხათუნა ჭურღულია, აზა ლობჟანიძე); www. gch-centre.ge

4. სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტო-ფიქსაციის ლაბორატორიის საქმიანობა

2012 წ.-ის განმავლობაში ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაო:

- შინაარსობრივად და ვიზუალურად მოძველებული საკართოტეკო ბარათების ჩანაცვლება ახალი ფორმის ბარათებით, ფოტომასალის ხელახალი ანოტირება. სულ დამზადდა 500 საკარტოთეკო ბარათი;
- საარქივო ფოტომასალის ციფრულ მატარებელზე გადატანა მაქსიმალური რეზოლუციით;

- არქივის დიგიტალიზირებული მასალის მონაცემთა ელექტრონული ბაზაზე მუშაობა;
- დასკანერდა და ციფრულ ფორმატში დაარქივდა 651 ცალი სლაიდი.

2012 წელს ლაბორატორიის გადამღები ჯგუფი მივლინებული იყო იკვში წმ. გიორგის ეკლესიის ფოტოფიქსაციის მიზნით. გადაღებული და დაარქივებულია იკვის არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის ამსახველი 400 ფაილი.

2012 წლის მანძილზე შესრულდა რიგი სამუშაოებისა ცენტრის თანამშრომელთათვის, კულტურის სამინისტროსთვის, ასევე ცალკეულ დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციების დაკვეთით.
ლაბორატორიის მასალა დაედო საფუძვლად მთელ რიგ გამოცემების ქართულ ხელოვნებაზე, მათ შორის გიგო გაბაშვილის, ნიკო ფიროსმანაშვილის, ელენე ახვლედიანის, ავთო ვარაზის და სხვა ხელოვანთა შემოქნედებისადმი მიძღვნილ ალბომებს.

2012 წლის აპრილში ქობულაძის სახ. ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის სივრცე, სადაც იგი 1974 წლიდან იყო განთავსებული, გაიყოდა აუქციონის წესით. ამის გამო საჭირო გახდა ლაბორატორიის გადატანა სხვაგან, კერძოს კი გ. ჩუბინაშვილის ცენტრისთვის გამოყოფილ შენობაში (ათონელის ქ. №9). მთელი ინვენტარის და განსაკუთრებით კი უნიკალური ფოტო-არქივის შებუთვასა და უსაფრთხო გადატანას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, რის გამოც შეფერხდა ლაბორატორიის ნორმალური ფუნქციონირება. ლაბორატორია მუშაობას გაახლებს 2013 წელს.

5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

5.1. გამოფენები / პრეზენტაციები / გამოცემები

- **XX ს-ის მხატვრათა გამოფენა,** 29 ნოემბერი – 12 დეკემბერი, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელწიფო მუზეუმი**;** გამოფენის ორგანიზატორები – გ. ჩუბინაშვილის ცენტრი და შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელწიფო მუზეუმი. გამოფენა მიეძღვა ცენტრის მეცნიერ თანამშრომლის ხელოვნებათმცოდნის – **მერი კარბელაშვილის** ხსოვნას;

- **ნიკო ფიროსმანის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა;** წარმოდგენილი იყო მხატვრის შესახებ არსებული პუბლიკაციები, 13 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ორგანიზატორები გ. ჩუბინაშვილის ცენტრი და ეროვნული ბიბლიოთეკა;

- **გამოფენა - „პეტრე ოცხელი – რესტროსპექტივა“,** დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა. გამოფენის კურატორი და ორგანიზატორი ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი - მარიანა ოკლეი;

- თბილისის წიგნის XIV საერთაშორისო ფესტივალზე (24-27 მაისი) ცენტრმა წარმოადგინა მის მიერ გამოცემული წიგნები;

- 27 მარტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ცენტრის დირექტორმა – მ. დიდებულიძემ წარადგინა ცენტრის 2011 წლის მუშაობის ანაგარიში.

- 5 ივნისი, წიგნის **„მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“ პრეზენტაცია;**

- 15 ოქტომბერი, **სერგო ქობულაძის ალბომის პრეზენტაცია**;

5.2. 2011 წლის გამოცემები

5.2.1. 2012 წელს გამოცემული წიგნები:

- **მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში**, ავტორები: დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია; დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით;

- **ანანური,** ავტორები: ე. კვაჭატაძე, მ. ჯანჯალია;

- **არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში,** ავტორები ი. ელიზბარაშვილი, მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, ხ. ჭურღულია. დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით.

- **სერგო ქობულაძე** (ალბომის რედაქტორი და შესავალი ტექსტის ავტორი მ. გაჩეჩილაძე).

5.2.2. ცენტრის პერიოდიკა

ცენტრი ყოველწლიურად გამოსცემს ჟურნალს – **„საქართველოს სიძველენი“** (სარედაქციო საბჭო: მ. აილანდი (კალიფორნია, აშშ), ე. ბრაიერი (ბირმინგემი), ბ. ბრენკი (ბაზელი), გ. გაგოშიძე, ი. დეკერსი (მიუნჰენი), ვ. ზაიბტი (ვენა), ს. ლეჟავა, თ. მგალობლიშვილი, თ. საყვარელიძე, ე. ქათლერი (პენსილვანია), გ. ჭეიშვილი, ლ. ხუსკივაძე, ქ. ჰაისი (ვალანოვა, აშშ); რედაქტორ-გამომცემლები: დ. თუმანიშვილი, ი. ხუსკივაძე);

და ინტერნეტ-ჟურნალს – **‘Ars Georgica’ - სერია B (http://www. georgianart.ge)** (მთავარი რედაქტორი: დ. თუმანიშვილი; პასუხისმგებელი მდივანი: მ. გაჩეჩილაძე; სარედაქციო საბჭო: თ. ბელაშვილი, მ. მანია, პ. მენინგი (კანადა), მ. მეძმარიაშვილი, პ. რენერი (აშშ); მხატვრული რედაქტორი **-** გ. პაპაშვილი.

- **ჟურნალი – „საქართველოს სიძველენი“**

2012 წელს ცენტრმა გამოსაცემად მოამზადა ჟურნალის საიუბილეო ნომერი **(№** 15), რომელიც ეძღვნება გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებიდან 70 წლისთავს.

გამოსაცემად მომზადდა ჟურნალის მე-16 ნომერი. მასში იბეჭდება ცენტრის თანამშრომელთა სტატიები:

- ე. გედევანიშვილი, სარკმლის წირთხლთა მორთულობის « ადგილობრივი » ტრადიცია ქართულ შუა საუკუნეების მოხატულობაში;
- გ. პატაშური, კისისხევის უცნობი ეკლესიები;
- მ. ყენია, ზემო სვანეთის კულტურის ისტორიისთვის. სინელი ხუცესის წარწერების ინტერპრეტაციის გამო;
- თ. დადიანი, წმ. მხედრების იკონოგრაფია შუა საუკუნეების ქართულ ქვის რელიეფებში;
- თ. ხუნდაძე, ა. შანშიაშვილი, სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში ;
- თ. სანიკიძე, წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი;
- თ. ხოშტარია, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთას ეკლესიის მოხატულობა
- ლ. ანთელავა**,** ა. კდიაშვილი, მცხეთის ჯვრის მხატვრულ-ხატოვანი მეტყველება და სიმბოლური სემანტიკა;
- ც. კილაძე, ავტოპორტრეტი შალვა ქიქოძის შემოქმედებაში
- თ. ბელაშვილი, ახალი მხატვრული ტენდენციები XXს.-ის პირველი ათწლეულების სცენოგრაფიაში (სპექტაკლების „გაზი“, „კაცი-მასა“, „მალშტრემი“- მაგალითზე)

- ნ. ჭინჭარაული, ნეომინიატურული მხატვრობა – კულტურული იდენტობის ახალი რაკურსი.

- **ინტერნეტ-ჟურნალი – „Ars Georgica, სერია B“ (http://www. georgianart.ge),**

„Ars Georgica, სერია B“ 2012 წლის ნომერი მოამზადა ცენტრის ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილების მეცნიერ თანამშრომელმა გიორგი პაპაშვილმა.
ჟურნალში გამოქვეყნდა და გამოსაქვეყნებლად გადაეცა ცენტრის თანამშრომელთა სტატიები:

- ნ. ჭინჭარაული, თერგდალეულთა ეპოქის უცნობი პეიზაჟისტი (რომანოზ გველესიანის გრაფიკული ჩანახატები),
- გ. პაპაშვილი, ნიკო ფიროსმანაშვილის სურათის ენა და ფოტოგრაფია,
- მ. გაჩეჩილაძე, ინტერვიუ მხატვარ გოგი წერეთელთან;
- მ. გაჩეჩილაძე, სერგო ქობულაძე;
- მ. მანია, ციხისუბანი – ძველი თბილისის დაკარგული ფასეულობა.

- ინტერნეტ-სივრცეში განთავსდა 1987 წელს გამოცემული Art Georgica, (ელექტრონული ვერსია მოამზადეს: ნინო ჭინჭარაულმა, ანა სანთელაძემ, მარინა მეძმარიაშვილმა, მარიამ გაჩეჩილაძემ, გიორგი პაპაშვილმა).

- ცენტრმა გამოსცა კონფერენციის – „მემკვიდეობა და თანამედროვეობა“ მოხსენებათა თეზისები (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

5.3. ცენტრის თანამშრომელთა მიერ გამოცემული წიგნები

- მ. მეძმარიაშვილი, *ნინო ფირცხალაიშვილის გრაფიკა*, (ალბომის შესავალი წერილი);
- მ. ციციშვილი, *გიგო გაბაშვილი*, ალბომი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, IMAK OFSEთ, სტამბოლი;
- თ. გერსამია, ც. კილაძე, მ. მემარიაშვილი, *თბილისური სადარბაზოები*, 2012, თბილისი (მეორე გამოცემა);
- ე. ჰ. გომბრიხი, *ხელოვნების ამბავი* (წიგნის ქართული თარგმანი მომზადებულია ცენტრის თანამშრომელთა მიერ, სამეცნიერო რედაქტორი და მთარგმნელთა ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორი დ. თუმანიშვილი. წიგნი გამოიცა ლოგოს პრესისა და ფეიდონის გამომცემლობის მიერ).

5.4. სამეცნიერო და პოპულარულ გამოცემებში გამოქვეყნებული ცენტრის თანამშრომელთა ნაშრომები

- მ. დიდებულიძე, *თამარის დროის კედლის მხატვრობის პროგრამების ერთი იკონოგრაფიული თავისებურება*, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“;
- კ. მაჩაბელი, "ქვაჯვარა აღსაყდრებული ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებით" კრებულში: *ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან,* თბილისი, 2012, (თანაავტორი, თავი);
- თ. სანიკიძე, *გერგეტის სამება* (ახალი მასალების მიხედვით), ჟურნ. ქართველოლოგია, №2, 2012;
- ნ. ჭიჭინაძე, *სამეფო იკონოგრაფია და ღვთაებრივი მფარველობის იდეა თამარის ეპოქაში (ბერთუბნის ფრესკის ინტერპრეტაციისათვის),* კრებულში: პოლიტიკური თეოლოგია (რედ. გიგა ზედანია) თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- N. Chichinadze, *Les trésors monastiques de la Géorgie médiévale - la construction de l'identité culturelle,* საერთაშორისო კოლოკვიუმის – L`Europe et le Caucase – Relations interrégionales et la question de l`identité - მასალები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
- თ. ბელაშვილი, *სერგო ქობულაძე და მუსიკალური თეატრი*, ჟურნ., მუსიკა, 2012, №2;
- თ. გერსამია, *Созидатель по призванию*, ჟურნ. Русский клуб, N 5, თბ., 2012;
- ნ. ყიფიანი, *კირილე და ილია ზდანევიჩები,* წიგნში FESTINOVA Contemporary Art Festival, თბ., 2012;
- გ. ჭანიშვილი, *ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან,* გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012 (ავტორთა ჯგუფთან ერთად);
- ლ. ანდრონიკაშვილი, *თბილისური სახლი თაბუკაშვილის ქ. № 51,* ჟურნ. Review Design, geo- eng № 27, თბ., 2012;
- გ. პაპაშვილი, *ფიროსმანის შემოქმედება ფოტოგრაფიულ პრიზმაში,* კრებულში: შეხვედრა ფიროსმანთან, IV, 2012.

5.6. უცხოეთში დაბეჭდილი და დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები

- M. Didebulidze, *Murals of Tao-Klarjeti Churches: Interaction of Cultural Traditions,* კრებულში: "Synergies: Creating Art in Joined Cultures", Studies in Honor of Gerahard Wolf;
- N. Chichinadze, "Icons as Relics – Re-interpreting Repousse Revetments of Devotional Images", *Iconographica,* Rivista di iconografia medievale e moderna, / Journal of

Medieval and Modern Iconography, co-editors Michelle Bacci, Fabio Bisogni, Universita di Siena, Italy;

- E. Gedevanishvili,. *Encounters of Eastern and Western Christianity: Iconographic Peculiarities of the Holy Face of Telovani* , ფლორენციის მაქს პლანკის სახ. ხელოვნების ინსტიტუტის საიუბილეო კრებული;
- **M. Janjalia**, G. Cavallo, A. Felici, , N. Kuprashvili, T. Liluashvili, K. Catenazzi, Research and Education for the Conservation of Cultural Heritage in Georgia, *Arkos Scienza e Restauro dell'Architettura*, vol. 29, 2012;
- M. Gabashvili, „In Searching of the Artistic Roots of the Late Antique Bronze Buckles from Georgia", Iran and the Caucasus, Brill, Yerevan, 2012;
- M. Mania, Structural Characteristics of Tbilisi's Old Town, *Meno Kulturos Zurnalas KRANTAI*, # 2, 2012;
- L. Antelava, *The Dome in the Georgian Christian Architecture (The Artistic Expression and Symbolic Semantics of the Dome of the Holy Cross Church in Mtskheta).* კრებული "Dome in the World" (Cultural Identity and Symbolism. Goemetric and Formal Genesis. Construction,Identification, Conservation). გამომც. NARDINI EDITORE, ფლორენცია, 2012. ასევე გამოქვეყნებულია ინტერნეტ-ჟურნალში http://www.lifebeyondtourism.org/ ; http://www.domesintheworld.com/;
- N. Kipiani, *David Kakabadze*, Verfuhrung Freiheit, Kunst in Europa seit 1945. Herausgegeben von: Monika Flacke für das Deutsche Historische Museum, Sandstein Verlag, 2012;
- N. Kipiani, *Curvatures of Space and Georgian Modernism*, Modernism/modernity, journal of the Modernist Studies Association;
- N. Kipiani, T. Melnikova: the Book as Artistic Space, The Aesthetics of Matter Modernism, the Avant-Garde and Material Exchange, the third volume of the EAM series European Avant-Garde and Modernism Studies;
- N. Mirtskhulava, ,,Decorative plastic on the front fasade of the building ,,Imeli" - International Scientific Journal " Intellectual",2012, 19;
- ლ. ანდრონიკაშვილი, *ქართული ხუროთმოძღვრების მოკლე ისტორია*, ნინი ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნლი ქართულ-იტალიური გამოცემა, A.Oriente, №18, 201, Milano;
- M. Tsitsishvili, *Georgian Modernist Painting in 1910 -1940 years*, CONVEGNO INTERNAZIONALE, VERSO ORIENTE, Napoli, 2012;
- T. Tabatadze, "Some Peculiaritis of Tbilisi Modernist Artistic Cafe *Kimerioni*. About Conceptual Content of ***Kimerioni*** Wall Paintings"**,** ჟურნ. *Modernism-Modernity*. Johns Hopkins University Press;
- მ. ჩიხრაძე**,** *თბილისური ავანგარდი და ილია ზდანევიჩი*, ილია ზდანევიჩისადმი მიძღვნილი კრებული, იბეჭდება ბელგრადში;
- მ. ჩიხრაძე, *პოეტების ქალაქი: თბილისის კულტურული ცხოვრება 1910-1920-იან წლებში*, ჟურნ. Modernism-Modernity. Johns Hopkins University Press;
- მ. მეძმარიაშვილი, „ქართველი მხატვრები უცხოეთში", ჟურნ. „Русское искусство", მოსკოვი, ტრეტიაკოვის გალერეა;

- მ. მეძმარიაშვილი, *„ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედების ზოგი ასპექტი ევროპული ხელოვნების „კონტექსტში“* - კრებულისთვის „Un impero verso“ - იტალია;
- T. Gersamia, სტატიები ენციკლოპედიისთვის “ Allgemeines Kunstlerlexikon “, K.G.Saur Verlag. Munchen, Leipzig.

5.6. 2012 წელს ცენტრის თანამშრომელთა მიერ გამოსაცემად მომზადებული და დასასტამბად გადაცემული ნაშრომები:

- მ. ბულია, *თეთრი უდაბნოს მოხატულობა და ადრეული ქართული მხატვრობის ზოგი თავისებურება,* კრებულისთვის „თეთრი უდაბნოს მონასტერი”;
- მ. ბულია, *„დოდორქის მოხატულობები”* წიგნისთვის დოდორქის მონასტერი;
- მ. ბულია, დ. თუმანიშვილი, *Монастырь Удабно,* რუსულენოვანი კრებულისთვის;
- მ. დიდებულიძე, *შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ძეგლები ტაო-კლარჯეტში,* ჟურნალი „არტანუჯი“;
- ნ. ჭიჭინაძე, *სინის მთის წმ ეკატერინეს მონასტრის იოანე თოხაბის უფლის სასწაულებისა და ვნებების ამსახველი ხატის მხატვრული სისტემა,* საერთაშორისო კონფერენციის “უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა” (2011 წ., თბილისი) მასალები;
- კ. მაჩაბენილი, *ჯავახეთის ქვაჯვარები,* კრებული "ჯავახეთის ქრისტიანული ძეგლები";
- დ. ლებანიძე, *მანაბა მაგამედოვა* (ალბომი),
- გ. პაპაშვილი, *ქართული პოპ-არტის საკითხისათვის,* კრებული “XX საუკუნის ხელოვნება, III, სახელოვნებო პროცესები 1960-2000”;
- გ. ჭანიშვილი, *აწყურის ტაძარი,* ახალციხის ეპარქიის ძეგლების კრებული;
- ნ. ჭოღოშვილი, *ქართული მოდერნისტული მხატვრობა და გერმანია 1900-1940;*
- დ. თუმანიშვილი, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის,* საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახლად დაარსებულ სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალისათვის),
- დ. თუმანიშვილი, *"საუბრები ხელოვნების ისტორიოგრაფიაზე";*
- ლ. ანდრონიკაშვილი (თანაავტორი ნ. ერისთავი), *ქართული სასახლეები ადრე შუა საუკუნეებიდან გვიანდელობამდე;*
- ქ. მიქელაძე, *ჯაყელთა პორტრეტები;*
- მ. გაჩეჩილაძე – ამზადებს მასალას ქართველი მხატვრების სრული საინფორმაციო ბანკისთვის.

6. სამეცნიერო კონფერენციები

6.1. ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენციები

2012 წელს ცენტრმა მოაწყო ორი კონფერენცია

და მრგვალი მაგიდა:

- **„მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“,** 28-30 ნოემბერი, თბილისი; მერი კარბელაშვილის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; ორგანიზატორები გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების

ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, პროექტის ხელმძღვანელი ცენტრის ახალი ხელოვნების განყოფილების გამგე – მარინა გაჩეჩილაძე.

მოხსენებები წაიკითხეს:

- დ. თუმანიშვილი, მერი კარბელაშვილის მოსაგონარად;
- ს. ლეჟავა, მასწავლებლის ხსოვნას;
- მ. გაბაშვილი, გვიანანტიკური ხანის ქართული ლითონმქანდაკებლობის მხატვრული მიმართებანი ახლოაღმოსავლურ და ნომადურ ხელოვნებასთან;
- მ. მეძმარიაშვილი, ფუტურისტული წიგნი საქართველოში;
- მ. ოკლეი, სერგო ქობულაძე და მისი თეატრალური სამყარო;
- ნ. ყიფიანი, დავით კაკაბაძის ნაკლებად ცნობილი და უცნობი მასალა;
- თ. ბელაშვილი, დადაისტური ძიებები XX საუკუნის 20-ანი წლების ქართულ სცენოგრაფიაში;
- ე. თუმანიშვილი, XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისის ქართული სათეატრო მხატვრობა;
- ქ. შავგულიძე, HOPPLA. . . თამაში დროსა და სივრცესთან;
- თ. გერსამია, არქიტექტორი მიხეილ ნეპრინცევი;
- მ. გაჩეჩილაძე, სერგო ქობულაძე (1909-1978;)
- დ. ლებანიძე, ტრადიცია და ნოვაცია მანაბა მაგამედოვას ხელოვნების მაგალითზე;

- გ. ხოშტარია, ასახვის საგნის როლი უახლესი დროის სახვით ხელოვნებაში;
- ნ. ჭინჭარაული, ქართული პროფესიონალური მხატვრობის პირველი პეიზაჟები;

- ც. კილაძე, ავტოპორტრეტის თემა შალვა ქიქოძის შემოქმედებაში.

გამოიცა მოხსენებათა თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

- **ბიჭვინტა** – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 80 წლისთავისადმი მიღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 17 დეკემბერი, თბილისი; ორგანიზატორები: გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სოხუმის უნივერსიტეტი.

მოხსენებები წაიკითხეს:
- დ. თუმანიშვილი, ბიჭვინტის ტაძრის ხუროთმოძღვრება;
- ლ. ხუსკივაძე, თ. საყვარელიძე, ჭედური ხელოვნების ნიმუშები აფხაზეთიდან;
- ც. ჩაჩხუნაშვილი, ხუროთმოძღვრების რესტავრაცია აფხაზეთში.

- **მრგვალი მაგიდა – „ფიროსმანის მხატვრული ფორმა – გენეზისი და რაობა“** (მიეძღვა ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს, ორგანიზატორები გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. პროექტის ხელმძღვანელი ცენტრი მეცნიერ თანამშრომელი – გიორგი პაპაშვილი, 13 დეკემბერი, თბილისი);
დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: გ. პაპაშვილი, დ. თუმანიშვილი, ს. ლეჟავა, გ. ხოშტარია, თ. სანიკიძე, ლ. ანთელავა.

6.2. სხვა კონფერენციებში მონაწილეობა

- საერთაშორისო კონგრესი – **„მოდერნიზმი კავკასიაში - თბილისი, ბაქო, ერევანი (1900-1940, სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო, არქიტექტურა)** /.Modernism in the Caucasus - Tbilisi. Baku . Yerevan (1900-1940, Fine Arts, Theatre, Cinema, Architecture/ 28 თებერვალი - 1 მარტი, ფლორენცია
  მონაწილეობა მიიღეს: მ. მანია, მ. მეძმარიაშვილი, მ. ციციშვილი, ნ. ჭოღოშვილი, გ. ხოშტარია.

- საერთაშორისო კონფერენცია – "Masons at Work: Architecture and Construction in the Pre-Modern World"/ Philadelphia, Center for Ancient Studies, University of Pennsylvania, პენსილვანია, (აშშ), 30 მარტი – 1 აპრილი.
  მოხსენება წაიკითხა:

- დ. ხოშტარია, “Medieval Architectural Design nd Building Process According to the Sculptural Images of the Church at Korogo”;

- საერთაშორისო კონფერენცია – **„ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აქტუალური პრობლემები”**, 31 ოტომბერი – 3 ნოემბერი, სანტ-პეტერბურგი. ორგანიზატორები - მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტი და სანტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი (Lomonosov Moscow State University, Saint Petersburg State University (“Actual Problems of Theory and History of Art”).
  მოხსენებები წაიკითხეს:
    - ე. გედევანიშვილი, The Representation of the “Last Judgment” at the church of St George, Ikvi;
    - ე. კვაჭატაძე, შუა საუკუნეების სკულპტურის საკითხისათვის მართლმადიდებლურ სამყაროში.

- **II საერთაშორისო კონფერენცია – ტაო-კლარჯეთი,** 5-8 სექტემბერი, ბათუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით
  მოხსენებები წაიკითხეს:
    - კ. მაჩაბელი, ძალაუფლების ვიზუალური პარადიგმა. აშოტ კუხის რელიეფი ტბეთიდან;
    - ე. ედიშერაშვილი, ნ. ციციშვილი, შუა საუკუნეების ტაო-კლარჯული წიგნის მხატვრობის ძირითადი ტენდენციები;
    - ნ. ჭიჭინაძე, ტაო-კლარჯეთის სიწმინდეთა საკრალურ-იდეური ასპექტები (ანჩის ხატი და ხახულის კარედი);
    - ი. ელიზბარაშვილი, ოშკი: მიმდინარე კვლევები, ამოცანები, და პერსპექტივები.

- **საერთაშორისო კონფერენცია – “L’Europe et Caucase – Relations interregionales et la question de l’identite”,** მონპელიეს პოლ ვალერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
    - N. Chichinadze, Image and Identity - Visual Manifestation of Rulers’ Authority in Medieval Armenia and Georgia;

- საერთაშორისო კონფერენცია **„შუა საუკუნეები 21-ე საუკუნის პერსპექტივიდან: კვლევა, რესტავრაცია, საგამოფენო სტრატეგია”,** 11 იანვარი, თბილისი; კონფერენცია მოეწყო საქართველოს ეროვნული მუზეუმისა **და** მეტროპოლიტენ მუზეუმის (აშშ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ;
  მოხსენება წაიკითხა:
    - თ. ხუნდაძე (თანაავტორი ა. შანშიაშვილი), სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში;

- **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა**, 26-30 ივლისი, ახალციხე
  მოხსენება წაიკითხა:
    - თ. ხუნდაძე, (თანაავტორი ა. შანშიაშვილი), Символический образ Светитсховели на фасадном рельефе храма Тхоба-Ерди (Ингушетия).

- **უორკშოპი** (პროექტის – რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის – ფარგლებში, პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ).

მონაწილეობა მიიღეს:

- მ. სურამელაშვილი, ისტორიული არქიტექტურის მეტამორფოზა;
- ც. ჩაჩხუნაშვილი, ბოლოდროინდელი უხეში ჩარევების შესახებ მცხეთის და ბათუმის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახეში.

- **საერთაშორისო კონგრესი - "მსოფლიოს გუმბათები"** , 19-23 მარტი, ფლორენცია

  მოხსენება წაიკითხა:

  - **L. Antelava,** The Dome in the Georgian Christian Architecture (The Artistic Expression and Symbolic Semantics of the Dome of the Holy Cross Church in Mtskheta).
- **საქართველოს ICOMOS-ის ინიციატივით გამართული III საერთაშორისო უორქშოპი** (3 rd International Capacity Building Workshop - "National Policy of Heritage Sector"), 6-7 დეკემბერი, თბილისი

  მოხსენება წაიკითხა:

  - მ. მანია, კალა - მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები და ურბანული მემკვიდრეობის დაცვის მდგომარეობა;
- **თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია**

  მოხსენება წაიკითხა:

  - გ. პაპაშვილი, XX საუკუნის ხელოვნება. ხელოვნება ტოტალიტარიზმის ხანაში. 1930-1960;
- **საერთაშორისო უორქშოპი: „ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ქვათა ცვენის საშიშროების შეფასება და მონიტორინგის მდგრადი სისტემის შემუშავება"** (ორგანიზატორი: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), მონაწილეობდა დ. ჩიხლაძე, მ. ჯანჯალია.
- **„მიბრუნება სულიერებისკენ"** – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, 14-15 დეკემბერი, თბილისი

  მოხსენებები წაიკითხეს

  - ა. ოქროპირიძე, გერგეტის სამების სახისმეტყველებისათვის;
  - მ. დიდებულიძე, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის წვლილი ქრისტიანული კულტურის გადარჩენაში საბჭოთა პერიოდში
- **საერთაშორისო უორქშოფი – „ოლკასი:** ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე. შუასაუკუნოვანი ნავსადგურები აღმოსავლეთის საზღვაო გზებზე", თესალონიკი.

  მონაწილეობდნენ: ქ. მიქელაძე, ი. მანია.
- **„შავი ზღვის აუზი 2007-2013"-ს პროგრამის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია**, 18-19 სექტემბერი, ქ. კიშინიოვი

  მონაწილეობდა: დ. ხოშტარია
- **ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი,** გამომცემლთა საერთაშორისო ფორუმი, ორგანიზატორი საქართველოს კულტურის სამინიტრო, 22-23 მაისი

  მოხსენება წაიკითხა:

  - მ. დიდებულიძე, გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრის ახალი გამოცემები

7. მივლინებები და ექსპედიციები

2012 წელს ცენტრის თანამშრომლები სისტემატიურად დადიოდნენ სამეცნიერო ექსპედიციებსა და მივლინებებში როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ (თურქეთი (ტაო-კლარჯეთი), საბერძნეთი, აშშ, შვეიცარია, გერმანია, იტალია და სხვა). ქართულ-იაპონური პროექტის ფარგლებში მოეწყო ქართველ და იაპონელ მეცნიერთა ერთობლივი ექსპედიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

8. საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები

ცენტრი აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან, ანხორციელებს საერთაშორისო პროეტებს.

- ივნისში გ. ჩუბინაშვილის ცენტრისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარდგინებით ცნობილ ფრანგ მეცნიერს ნიკოლ ტიერის გადაეცა ოქროს საწმისის ორდენი ქართული ხელოვნების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის.

- აგვისტოში გაფორმდა უფრთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცენტრსა და ტუშას (ქ. ვიტერბო, იტალია) უნივერსიტეტს შორის;
- ივნისში გ. ჩუბინაშვილის ცენტრისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარდგინებით ცნობილ ფრანგ მეცნიერს – ნიკოლ ტიერის გადაეცა ოქროს საწმისის ორდენი;
- 23 აგვისტოს ცენტრს გადაეცა სამთავრობო ჯილდო საერთაშორისო პროექტში "ლიმენი" მონაწილეობისთვის (საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთის, უკრაინის სამეცნიერო დაწესებულებები და გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ). პროექტის განხორციელება დაიწყება 2013 წლიდან;
- ქ. სოფიაში (ბულგარეთი) გამართულ საერთაშორისო კონკურსზე საერთაშორისო არქიტექტურის აკადემიისა (IAA) და ბულგარეთის კულტურის სამინისტროს დიპლომით – „გრანდ პრი" და ოქროს მედალით (ნომინაციაში ინოვაცია და ტრადიციული არქიტექტურა) დაჯილდოვდა რუსთავის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის პროექტი, რომლის კონსულტანტი და საავტორო ჯგუფის წევრია ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი – ქეთევან აბაშიძე-დადიანი.
- ვენეციის უნივერსიტეტის შეთავაზებით ცენტრმა მონაწილეობა მიიღო იტალიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ კონკურსში საპროექტო განაცხადის წარდგენაში, რომელიც ეხება კახეთის კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და მართვის პრობლემებს. პროექტის განხილვა მოხდება 2013 წელს.
- გრძელდება თანამშრომლობა ფლორენციის (იტალია) მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან.

მიმდინარე პროექტები

- **საერთაშორისო პროექტი – „OLKAS ეგეოსიდან შავ ზღვამდე – შუა საუკუნეების ნავსადგურები აღმოსავლეთის საზღვაო გზებზე“** (2011-2123, პროექტში მონაწილეობს საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთის, უკრაინის სამეცნიერო დაწესებულებები და გ. ჩუბინაშვილის ცენტრი). პროექტმა 2011 წელს გაიმარჯვა შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (Black See CBC) ფარგლებში ჩატარებულ პირველ კონკურსში. წამყვანი ორგანიზაციაა თესალონიკის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპული ცენტრი. გ. ჩუბინაშვილის ცენტრიდან პროექტში მონაწილეობენ – დ. ხოშტარია (მენეჯერი), ქ. მიქელაძე (სამეცნიერო ხელმძღვანელი), ნ. ნაცვლიშვილი, ი. მანია. 2012 წელს პროექტის ფარგლებში ჯგუფის წევრებმა შეასრულეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაო (მონაცემთა ბაზისთვის მასალის მომზადება), იყვნენ მივლინებაში ბათუმში და მონაწილეობა მიიღეს უორქშოფსა (თესალონიკი) და კონფერენციაში (კიშინოვი).
- **ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტისა და გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ერთობლივი პროექტი – „ხუროთმოძვრული ტექნოლოგიების ურთიერთქმედება და შეფასება ქრისტიანული და ისლამური კულტურების რეგიონებში“;** პროექტის ხელმძღვანელები არიან იაპონელი მეცნიერი შირო სასანო და ცენტრის მეცნიერთანამშრომელი დავით ხოშტარია. პროექტის მიზანია შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესწავლა საინჟინრო-კონსტრუქციული თვალსაზრისით. 2012 წლის ივნის-ივლისში ჩატარდა პროექტის მესამე ეტაპის სამუშაოები (ცენტრის მხრიდან პროექტში მონაწილეობენ დ. ხოშტარია (ხელმძღვანელი), ნ. ნაცვლიშვილი, გ. პატაშური, მ. გაბაშვილი, მ. ლილუაშვილი, ი. მანია, ე. ედიშერაშვილი). ქართულ-იაპონურმა ჯგუფმა იმუშავა მცხეთაში, წრომში, უბისაში, სამთავისში, ყინცვისში, წინარეხში, შატილსა და მუცოში.

9. სახელმწიფო და სხვა სახის გრანტებში მონაწილეობა

9.1. რუსთაველის ფონდი. ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები:

- **ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია“,** (მ. ციციშვილი, ნ. ჭოღოშვილი)

9.2. სხვა გრანტები/პროექტები

- გერმანული აკადემიური გაცვლითი სამსახური - კვლევითი სტიპენდია ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში – **ცისია კილაძე;**
- „ღია საზოგადოება – საქართველო“-ს სამეცნიერო-კვლევითი გრანტი – **მზია ჩიხრაძე.** ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში ახორციელებს კვლევას “1940-1950-იანი წლების ქართული და ამერიკული ხელოვნების პარალელური ანალიზი”;
- ფულბრაიტის მიწვეულ მეცნიერთა პროგრამა. აშშ-ს განათლებისა და კულტურის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროს გრანტი; Parsons School of Design and Art History. The New School of New York. The Fulbright Visiting Scholar Program (U.S. Department of State’s Bureau of Educational and Cultural Affairs) - თეა ტაბატაძე, მიწვეული მკვლევარი;
- შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) გრანტი – ხელოვნებისა და კულტურის რეგიონული პროგრამა კავკასიაში - კულტურული ორგანიზაციების კვლევა – ნინო ჭოღოშვილი (პროექტის მონაწილე);
- საქართველოში გერმანულ უნივერსიტეტეთა ასოციაციის (dvv international) პროექტი “SOS culture” – გიორგი პატაშური (კონსულტანტი);
- რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის (პროექტი მიმდინარეობს ევროკავშირის მხარდაჭერით; პროექტის წამყვანი პარტნიორი – ICOMOS საქართველო) – მ. სურამელაშვილი;
- კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (Academic Swiss Caucasus Net) მოკლევადიანი კვლევითი გრანტი – ნათია ნაცვლიშვილი (ივლის-გვისტოში იმყოფებოდა შვეიცარიის ქალაქ ფრიბურგში ბიბლიოთეკებში სამუშაოდ);
- საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის – ნ. ნაცვლიშვილი (ერთწლიანი კვლევითი პროექტისთვის – „არქიტექტურა და იდენტობა: კათოლიკური ეკლესიები სამხრეთ საქართველოში”;
- პრეზიდენტის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათათვის პროექტისთვის – “ლიტურგიკული გრაგნილების მხატვრული გაფორმება”- ნ. ციციშვილი;
- დავითგარეჯის საფრთხის ქვეშ მყოფი შუა საუკუნეების ქვაბოვანი მონასტრების ინტერდისციპლინარული შესწავლა (Swiss National Science Foundaition) – დ. ჩიხლაძე;
- კიევის ინიციატივის რეგიონალური პროგრამის, ისტორიული ქალაქების კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პილოტური პროექტი (Kyiv Initiative Regional Programme. Pilot Project on the Rehabilitation of Cultural Heritage in Historic Towns. Preliminary Technical File) – მაია მანია (პროექტის ფარგლებში ჩატარდა ქალაქ დუშეთის ისტორიული ნაწილის მრავალმხრივი კველევა. შესწავლილ იქნა 400-მდე ნაგებობა);

- საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის დაკვეთით ცენტრმა მოამზადა კახეთის ღირსშესანიშნაობების სატელეფონო ცნობარი (ძეგლთა ანოტაციები).

10. ცენტრის თანამშრომელთა მიერ 2012 წელს განხორციელებული საგანმანათლებლო, საექსპერტო და საზოგადოებრივი საქმიანობა

10.1. საგანმანათლებლო საქმიანობა

- ივლისში ცენტრსა და ბათუმის სახელოვნებო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;

10.1.1. დისერტაციებისა და დიპლომების ხელმძღვანელობა, ოპონირება

ცენტრის თანამშრომლები ხელმძღვანელობას უწევენ სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომებს, არიან დისერტაციების ოპონენტები და რეცენზენტები.

10.1.2. საჯარო ლექციები

- 6 აპრილს ცენტრმა გამართა ოშკის ტაძრისადმი მიძღვნილი საჯარო ლექცია
  ი. ელიზბარაშვილი, ოშკის ტაძრის ხუროთმოძღვრება;
  მ. დიდებულიძე, ოშკის ტაძრის მოხატულობა და სკულპტურული დეკორი.

- ცენტრის თანამშრომლებმა წაიკითხეს საჯარო ლექციები:

  - დ. თუმანიშვილმა წაიკითხა ორი ლექცია "ფასეულობათა შემსწავლელი საზოგადოების" ლექტორიუმში;
  - მ. დიდებულიძემ წაიკითხა ლექცია "ფასეულობათა შემსწავლელი საზოგადოების" ლექტორიუმში;
  - გ. პატაშური კითხულობდა ლექციებს ქართული ხელოვნების შესახებ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების ბავშვებისთვის.

10.2. ცენტრის თანამშრომელთა პედაგოგიური მოღვაწეობა

ცენტრის თანამშრომლები აქტიურად ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს საწავლებლებში

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიისა და რესტავრაციის ფაკულტეტზე: დ. თუმანიშვილი, თ. ხუნდაძე, მ. ყენია, მ. ჯანჯალია, ლ. ანთელავა, ა. კლდიაშვილი, თ. ბელაშვილი, მ. მანია, ე. კვაჭატაძე, ი. ელიზბარაშილი, ც. კილაძე, ს. ლეჟავა, თ. ტაბატაძე, თ. გერსამია;

- ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე: მ. ციციშვილი, ნ. ჭოღოშვილი, გ. ხოშტარია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი (მიმართულება – ჰუმანიტარული/ხელოვნების ისტორია): ნ. ჭიჭინაძე, მ. გაბაშვილი, ნ. ყიფიანი, მ. ოკლეი;
- სასულიერო აკადემიაში: დ. თუმანიშვილი, მ. დიდებულიძე, ა. ოქროპირიძე, ქ. აბაშიძ;ე
- სოხუმის უნივერსიტეტში: ა. ოქროპირიძე;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი: გ. ჭანიშვილი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი: თ. სანიკიძე;

10.3. ცენტრის თანამშრომელთა საექსპერტო საქმიანობა

ცენტრი თანამშრომლები არიან სხვადასხვა სამცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან არსებული კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – მ. დიდებულიძე, ლ. ხუსკივაძე, ქ. მიქელაძე, მ. ჯანჯალია, მ. ბულია;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან არსებული ხუროთმოძღვრების კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი;
- საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან არსებული სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – მ. დიდებულიძე, გ. ჭანიშვილი, ქ. აბაშიძე;
- საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული მოძრავი ძეგლების საექსპერტო კომისია – დ. ლებანიძე, მ. ციციშვილი;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საექსპერტო-სამეცნიერო არქიტექტურული საბჭო – გ. ჭანიშვილი;
- საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შექმნილი საგანგებო კომისია – მიმდინარე სარეაბილიტაციო პროგრამების განხილვის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით – ლ. ანდრონიკაშვილი, მ. მანია. მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი;
- თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო – მ. დიდებულიძე, თ. გერსამია;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგემებისა და შეფასების ცენტრის სახელმძღვანელოთა შეფასების კომისია – ნ. ჭოღოშვილი;
- ICOMOS ARSAH საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრი – ი. ელიზბარაშვილი;
- ICOMOS International -ის წევრი – ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. ყენია;

11. კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციისა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხებია. ცენტრის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ ძეგლთა სარესტავრაციო-სარეაბილტაციო პროექტებში, ასრულებენ ძეგლების სახელოვნებათმცოდნეო კვლევასა და სარესტავრაციო რეკომენტაციებს, მუშაობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგიაზე, ანხორციელებენ რეაბილიტირებული ძეგლების მონიტორინგს.

ამ მიმართულებით წლიური თემის ფარგლებში განხორციელდა:

- **ხიხანის ციხესიმაგრის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები ძეგლის რეაბილიტაციის მიზნით, გია ჭანიშვილი**

ხიხანი, აჭარის უმნიშვნელოვანესი ციხე მჭიდროდ არის დაკავშირებული აბუსერიძეების და ხიმშიაშვილების ფეოდალური გვარების ისტორიასთან. ციხესიმაგრე აკონტროლებდა სხალთის ხეობას და გზას ახალციხიდან-ბათუმისაკენ. აქვეა გადასასვლელი შავშეთშიც. ციხის კომპლექსი მრავალ ნაგებობას მოიცავს, მათ შორის ციტადელს, საყარაულო კოშკებს, დარბაზულ ეკლესიას, სასახლეს, მარანს და სხვა. ხიხანის ციხე აქამდე კომპლექსურად არ შესწავლილა. ძეგლის რეაბლიტაციისათვის შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია და სარესტავრაციო პროექტის შესადგენად საჭირო რეკომენდაციები.

- საბოლოო რედაქტირება გაუკეთდა და დასასტამბად მომზადდა იუკა იუკილეტოს ფუნდამენტური ნაშრომის "History of architectural conservation" (2005) ქართული თარგმანი, რომლის გამოცემა იგეგმება 2013 წელს. ეს არის სამაგიდო წიგნი ხუროთმოძღვრების კონსერვაცია-რესტავრაციის მკვლევართათვის.

11.1. სარეაბილიტაციო პროექტებში მონაწილეობა

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგი საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტების შემუშავებაში:

- კვარშის, ზეგარდის, ვანის ქვაბების გუმბათიანი ეკლესიის, კვეტერას ეკლესია სარესტავრაციო პროექტები (ი. ელიზბარაშვილი);
- საღამოს ეკვდერიანი ეკლესიის რეაბილიტაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გ. ჭანიშვილი);
- კარსანი, მთა ქართლის ციხესიმაგრის კომპლექსში წმ. ნინოს მონასტრის ნეგებობის მოწყობის შესახებ (გ. ჭანიშვილი);
- აბისის ციხე-დარბაზის და ეკლესიის რეაბილიტაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გ. ჭანიშვილი);
- თბილისის სუბ-გევორქის ეკლესიის რეაბილიტაცია (გ. ჭანიშვილი);
- ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტები თბილისში (ყოფ. II სამშობიარო სახლი, ყოფ. იუსტიციის სამინისტროს შენობა, საქართველოს პარლამენტის შენობა, ჭრელი აბანო) გ. ჭანიშვილი;
- ვარძიის ტაძრის მოხატულობის წინასაკონსერვაციო კვლევა – მ. ჯანჯალია (პროექტს ახორციელებს *ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტი (London University Courtauld Institute of Art Wall Painting Conservation Department), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი);*
- ატენის ტაძრის სტრუქტურული კონსოლიდაციის მოსამზადებელი ღონისძიებები – მ. ჯანჯალია, *(პროექტს ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, იტალიური შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერებისა და ხელოვნების უნივერსიტეტი (SUPSI), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი);*
- იფარის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო კვლევა – მ ყენია (პროექტს ახორციელებს საქართველოს კულტურული მემ-კვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო);
- ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია. IV ეტაპი. (საქართველოს ICOMOS პროექტი, დონორი: ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი, მ. ყენია;
- თბილისის არქიტექტურულ ძეგლთა რეაბილიტაციის პროექტები (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა), ლ. ანდრონიკაშვილი;
- თელავის არქიტექტურულ ძეგლთა რეაბილიტაციის პროექტი (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, ლ. ანდრონიკაშვილი);
- ე.წ. წითელი ხიდის სარეაბილიტაციო პროექტი (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა), ლ. ანდრონიკაშვილი;
- ნოღას ციხის, არმაზის, უკანგორის, კაკლიანის სარეაბილიტაციო პროექტები (ე. კვაჭატაძე);

- თბილისის წმ. ნინოს ეკლესიის (ჩიტაძის ქუჩაზე) სარეტავრაციო პროექტი (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა), ე. კვაჭატაძე.

11.2. **მონიტორინგი**

ცენტრის თანამშრომლები ახორციელებენ რეაბილიტირებული და რესტავრირებული ძეგლების მონიტორინგს. 2012 წელს მონიტორინგი განხორციელდა:

ქუთაისში /ბაგრატის ტაძრი/, ახალციხესა /რაბათი/ და გორში (ი. ელიზბარაშვილი, მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი).

გრემის არქიტექტურული კომპლექსი (გ. პატაშური, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ჩიხლაძე, ნ. ჩიტაშვილი,)

12. საზოგადოების ინფორმირება

ცენტრი აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით და ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობენ სატელევიზიო და რადიოგადაცემებში. საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიასთან („ერთსულოვნება“) და რადიოსთან თანამშრომლობენ ა. ოქროპირიძე, ქ. აბაშიძე-დადიანი, მ. დიდებულიძე; ა. ოქროპერიძის მონაწილეობით ამ არხზე 2011-2012 წლებში გადაღებულია ოთხი დოკუმენტური ფილმი – "გიხაროდენ, დედაო და ქალწულო" (ხარება), "ლამპრითა სულიერითა" (მირქმა), "ოსანა მაღალთა შინა" (ბზობა), და "ფერისცვალება"), რადიოგადაცემაში – "ისტორია ექსპონატებში" (I არხი) მონაწილეობა მიიღო კ. მაჩაბელმა (თემა „შუა საუკუნეების ქართული პორტრეტის ისტორიიდან“). ცენტრის თანამშრომლები (ლ. ანდრონიკაშვილი, მ. მანია, გ. ხოშტარია და სხვ.) აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვებსა და დისკუსიებში ტელევიზიით და პრესით, განსაკუთრებით ისეთ თემებზე, როგორიცაა ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამა, თელავის რეაბილიტაციის პროგრამა, ტაო-კლარჯეთის ძეგლების რესტავრაცია.
ე. კვაჭატაემ, მ. დიდებულიძემ, თ ბელაშვილმა, მ. გაბაშვილმა, გ. პაპაშვილმა ჩაწერეს ლექციები ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე შ SILK-NET-ის სასწავლო პროგრამისთვის.
Facebook-ზე გაიხსნა გვერდი – ძველი თბილისის დაცვის საზოგადოებრივი საბჭო (დამფუძნებელი – ლ. ანდრონიკაშვილი).

მუდმივად მიმდინარეობს ცენტრის ვებ-გვერდის ახალი მასალით შევსება და განახლება. www.gch-centre.ge

პრობლემები

2012 წელს გ. ჩუბინაშვილის ეროვნულ ცენტრის მუშაობაში გამოვლინდა რიგი პრობლემების:

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლიდან მოყოლებული ცენტრი ღებულობს სტაბილურ დაფინანსებას, საგრძნობლად გაიზარდა როგორც ხელფასები, ასევე ექსპედიციებისა და მივლინებების თანხები და შესაძლებლობა, მაინც თავს იჩენს წმინდა სამეცნიერო კვლევის დაფინანსების სიმცირე. მხოლოდ რუსთაველი ფონდი არა არის საკმარისი სამეცნიერო კვლევის რეგულარული განხორციელებისთბის. საჭიროა საქართველოში შეიქმნას სხვადასხვა ფონდები ამ ხაზით, რისთვისაც აუცილებელია მიღებულ იქნას კანონი ქველმოქმედების შესახებ.

ცენტრს დიდი მხარდაჭერა აქვს კულტურის სამინისტროს მხრიდან წიგნების მომზადებასა და ბეჭდვაში (რაც მთავარია, ორენოვანი წიგნებისა), მაგრამ იგრძნობა მოთხოვნილება დამატებითი წყაროების მოძიების, რაც კვლავ უკავშირდება საკანონმდებლო საკითხებს.
2007 წელს კულტურის სამინისტროს პროგრამით ცენტრითვის შეძენილ ქინა ავტო-მანქანა NIVA, რამაც საგრძნობლად გაზარდა ექსპედიციების მოწყობის შესაძლებლობა, და ღირებულება. თუმცა ეს არ არის საკმარისი. ცენტრს აუცილებლად ესაჭიროება უფრო ტევადი სატრანსპორტო საშუალება, რათა ახალაგაზრდა თაობას შესაძლებლობა მიეცეს იმუშავოს ძეგლებზე უფროსებთან ერთად და მიიღოს სათანადო წვრთნა.

ექსპედიციების ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია ასევე მობილური ხარაჩოები, განსაკუთრებით კედლის მხატვრობის კვლევის დროს.

ცენტრს აქვს გარკვეული პრობლემები სწრაფი რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტებასა და გაგზავნაში ჩვენთვის საინტერესო ძეგლების ან მათზე მიმდინარე სამუშაოების შესასწავლად.

ფოტოლაბორატორია ესაჭიროება დამატებითი აღჭურვილობა და ფოტოფიქსაციის დიდმაშტაბიანი ექსპედიციების მოწყობის შესაძლებლობა. (მაგ. ს. ქობულაძის მიერ შექმნილი ხარაჩოების აღდგენა და სხვ.). ლაბორატორიის არქივი საჭიროებს განახლებას და შევსებას, რაც დამატებითი თანხების მოძიებას ითხოვს.

ხელოვნების ინსტიტუტის ფუძემდებლები ყოველთვის პირველი რიგის ამოცანად ისახავდნენ ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვას და მათ გაწვრთნას ინსტიტუტის ტრადიციების შესაბამისად. ახალგაზრდების დასაქმება, მათთვის სათანადო

ანაზღაურების უზრუნველყოფა არის ერთი პრიორიტეტული ამოცანა და ამავე დროს, დიდი პრობლემაა.

ცენტრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ არსებული, ძველი და ახალი გამოცემების თარგმნას ევროპულ ენებზე, რათა სათანადოდ წარმოჩნდეს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ღვაწლი და წვლილი მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, რაც სამწუხაროდ, ჯერაც არ არის ჯეროვნად დაფასებული.

ამ პრობლემას ერთვის უკვე დასტამბული ორენოვანი გამოცემების მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრებში და წამყვანი მეცნიერებისთვის გაგზავნის პრობლემა. ესეც თანხებთანაა დაკავშირებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო თავყრილობებში, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

ძალიან მნიშვნელოვანია უცხოეთში არსებულ წამყვან სამცნიერო ცენტრებში (განსაკუთრებით ბიბლიოთეკებში) მივლინებების უზრუნველყოფა, ახალგაზრდა მეცნიერების გაგზავნა სტაჟირებაზე და სხვ.

ასევე პრობლემატურია უცხოეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა. რასაც ცენტრი რეგულარულად აკეთებს 1991 წლიდან მოყოლებული, თუმცა ეს ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული ცენტრის მუშაობის სათანადო გაშუქება პრესაში და ტელევიზიაში, საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება მის მიმართ.

ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული პრობლემაა ბიბლიოთეკის აღჭურვა სტელაჟებით, წიგნების საწმენდი აპარატებით, შესაბამისი საბიბლიოთეკო პროგრამების მქონე კომპიუტერებით და სხვ.

ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით ცენტრმა სერიოზული ხარჯები გაიღო აუცილებელი ინვენტარის მინიმუმის შეძენისთვის. ახალი შენობის აღჭურვა 2013 წელსაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. მათ შორის კომპიუტერული და სხვა ციფრული აღჭურვილობის შეძენისთვის ცენტრი გეგმავს მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძო ფირმებს და სხვ.

დასკვნა

2012 წელს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა ცენტრმა შეასრულა სახელმწიფოს (კულტურისა და ძეგლთა დაცვისა სამინისტროს) წინაშე აღებული ვალდებულებები როგორც სამეცნიერო კვლევის, ისე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიმართულებით.

2012 წელს ცენტრის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ დამუშავდა გეგმით გათვალისწინებული **52** სამეცნიერო თემა.

2012 წელს ცენტრმა გამოსცა 4 წიგნი; მოამზადა ცენტრის პერიოდული გამოცემები: ჟურნალის – **„საქართველოს სიძველენი“** ორი ნომერი (№15, და № 16) და ინტერნეტ-ჟურნალის – **'Ars Georgica' სერია B** - 2012 წლის ნომერი. ცენტრმა გამოსცა სამეცნიერო კონფერენციის – „მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ თეზისები (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

2012 წელს ცენტრმა მოაწყო ორი სამეცნიერო კონფერენცია: „მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“, „ბიჭვინტა“ (თანაორგანიზატორი – სოხუმის უნივერსიტეტი); მრგვალი მაგიდა – „ფიროსმანის მხატვრული ფორმა – გენეზისი და რაობა“ (თანაორგანიზატორები – ეროვნული ბიბლიოთეკა).

2012 წელს ცენტრმა გამართა ორი გამოფენა – „XX საუკუნის ქართველ მხატვრთა გამოფენა“ (ხელოვნების მუზეუმთან ერთად) და ნიკო ფიროსმანის შესახებ არსებული წიგნების გამოფენა (ეროვოვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად); ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვა გამოფენების ორგანიზაციაშიც.

წლის განმავლობაში ცენტრის მეცნიერ თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 14 სამეცნიერო სტატია სამამულო პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში; 20 სამეცნიერო სტატია უცხოეთის პერიოდიკაში და სამეცნიერო კრებულებში; გამოსაცემად მომზადებულია 25 ნაშრომი; ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობით გამოიცა 4 წიგნი.

2012 წელს ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო თავყრილობებში, როგორც ქვეყნის შიგნით (12 კონფერენცი/უორქშოფი, მონაწილეობა მიიღო ცენტრის 40 მეცნიერ-თანამშრომელმა), ისე საზღვარგარეთ (5 კონფერენცია/უორქშოფი, მონაწილეობა მიიღო 11 მეცნიერ თანამშრომელმა).

2012 წელს ცენტრის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მოპოვებულ იქნა სამეცნიერო გრანტები: ადგილობრივი ფონდებიდან – 2, საერთაშორისო გრანტები – 5.

კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის მიმართულებით ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 15 პროექტში; ამას გარდა,

ახორციელებდნენ რეაბილიტირებული და რესტავრირებული ძეგლების მონიტორინგს.

ცენტრის მეცნიერ თანამშრომლები არიან სხვადასხვა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფოტო-ფიქსაციის ლაბორატორიამ: განახლდა და შეივსო ფოტო-არქივი, დამზადდა 500 საკართოტეკო ბარათი, დასკანერდა 651 სლაიდი.

ცენტრი ახორციელებს ორ საერთაშორისო პროექტს: **„OLKAS ეგეოსიდან შავ ზღვამდე – შუა საუკუნეების ნავსადგურები აღმოსავლეთის საზღვაო გზებზე“** (საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, თურქეთის სამეცნიერო დაწესებულელებთან ერთად); და **„ხუროთმოძვრული ტექნოლოგიების ურთიერთქმედება და შეფასება ქრისტიანული და ისლამური კულტურების რეგიონებში“ (ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტუტთან ერთად).**

2012 წელს დაფინანსდა **საერთაშორისო პროექტი – „ლიმენი“** (დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ), რომელშიც მონაწილეობს საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის თურქეთის სამეცნიერო დაწესებულელები. პროექტში მონაწილეობისთვის ცენტრმა მიიღო საქართველოს მთავრობის ჯილდო. პროექტის განხორციელება დაიწყება 2013 წლიდან.

2012 წლის განმავლოვაში ცენტრის თანამშრომლები აწყობდნენ როგორც ერთდღიან გასვლებს ძეგლებზე, ისე ხანგრძლივ სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სახვადასხვა რეგიონებში, მონაწილეობა მიიღეს ტაო-კლარჯეთის ექსპედიციაში, მივლინებით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ.

2012 წლის განმავლობაში გ. ჩუბინაშვილის ცენტრი აგრძელებდა თანამშრომლობას სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორც საქართველოში – ხელოვნების მუზეუმთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სოხუმის უნივერსიტეტთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან, სამხატვრო აკადემიასთან და სხვა, ისე საზღვარგარეთ – ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ინსტიტუტთან, ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტთან, თესალონიკის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპულ ცენტრთან, ტუშას (ქ. ვიტერბო, იტალია) უნივერსიტეტთან; ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დარგში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც.

ცენტრის მეცნიერ თანამშრომლები (25 მეცნიერი) აქტიურად არიან ჩაბმული საგანმანათლებლო საქმიანობაში თბილისის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში.

კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით და ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობენ

სატელევიზიო და რადიოგადაცემებში. ცენტრი მუდმივად აწვდის საზოგადოებას თავისი საქმიანობისა და კულტურის მნიშვნელოვან სიახლეებს ვებ-გვერდის (www.gch-centre.ge) საშუალებით.

2012 წელს დასრულდა ცენტრის ახალი შენობის (ათონელის ქ. 9) სარემონტო სამუშაოები, შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარის ნაწილი. 2013 წლიდან გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი თავის საქმიანობას ახალ შენობაში გააგრძელებს.

2012 წლის 29 დეკემბერს ცენტრის დირექტორს ამოეწურა თანამდებობაზე მუშაობის დებულებით დადგენილი ვადა. 2013 წლის 8 იანვარს საჯაროდ გამოცხადდა კონკურსი გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე. 2013 წლის 25 იანვარს გ. ჩუბინაშვილის ცენტრის სამეცნიერო საბჭომ დირექტორად მეორე ვადით აირჩია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ დიდებულიძე.

2012 წლის მუშაობის ანგარიშები და სამეცნიერო თემები ინახება გ. ჩუბინაშვილის ცენტრში.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე **დ. თუმანიშვილი**

დირექტორი **მ. დიდებულიძე**

თბილისი,

31 იანვარი, 2013 წ.